

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა



დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა სუფთა სახის ქონებრივი ზიანისათვის

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

ხარისხის მოსაპოვებლად

ავტორი: ირაკლი სვანაძე

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიორგი რუსიაშვილი

თბილისი

2019

სარჩევი

აბრევიატურები	3
დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა სუფთა სახის ქონებრივი ზიანისათვის.....	4
I. შესავალი.....	4
II. ზიანის ცნება და სახეები.....	7
1. განსხვავება ზიანსა და ზარალს შორის	7
2. ზიანის ცნება და მისი ანაზღაურების მიზნები	9
3. ზიანის სახეები	11
3.1 ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი	13
3.2 სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანი.....	17
3.3. ზიანის სხვადასხვა სახეები.....	19
ა) საკომპენსაციო და მორატორიული ზიანი.....	19
ბ) რეალური ზიანი და მიუღებელი შემოსავალი.....	19
გ) პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანი	19
III. დელიქტი.....	20
1. დელიქტის ცნება.....	20
2. დელიქტური გენერალური დათქმა და მისი ელემენტები.....	25
2.1. ზიანი	29
2.2. ქმედება.....	29
2.3. მართლწინააღმდეგობა	30
2.4. ბრალი.....	31
2.5. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.....	35
IV. სუფთა სახის ქონებრივი ზიანი.....	37
1. სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ცნება და მისი სახეები.....	38
1.1. სუფთა სახის ქონებრივი ზიანისა და არაპირდაპირი ქონებრივი ზიანის შედარება.....	39
1.2. სუფთა სახის ქონებრივი ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის შედარება.....	39

1.3. სუფთა სახის ქონებრივი ზიანისა და საკუთრების ხელყოფით გამოწვეული ზიანის შედარება	41
1.4. სუფთა სახის ქონებრივი ზიანის სახეები.....	41
2. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მიდგომა სუფთა სახის ქონებრივ ზიანთან მიმართებით.....	42
2.1. ლიბერალური მიდგომა.....	43
2.2. პრაგმატული მიდგომა.....	44
ა) ინგლისური სამართლის მიდგომა	45
ბ) ამერიკული სამართლის მიდგომა.....	48
2.3. კონსერვატიული მიდგომა.....	49
ა) დამცავი დებულება (Protective statutes, Schutzgesetz)	50
ბ) სხვა უფლება (ein sonstiges Recht).....	50
გ) განზრახ „უზნეო“ ქმედება (Sittenwidrigkeit)	51
დ) ხელშეკრულებებით ბუფერული სივრცეების შევსება	51
2.4. განსხვავებული მიდგომა.....	53
3. ქართული სამართლის მიდგომა სუფთა სახის ქონებრივ ზიანთან მიმართებით.....	53
V. დასკვნა	57
ბიბლიოგრაფია	60

აბრევიატურები

იხ.	იხილეთ
შდრ.	შეადარეთ
მაგ.	მაგალითად
მუხ.	მუხლი
ა. შ.	ასე შემდეგ
ე. ი.	ესე იგი
ე. წ.	ეგრეთ წოდებული
სხვ.	სხვა
წ.	წელი
წწ.	წლები
რედ.	რედაქტორი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
vol.	volume
eds.	editors
Art.	Article
EWCA	England and Wales Court of Appeal
UKHL	United Kingdom House of Lords
S.C.R.	Supreme court reports
OGH	Oberster Gerichtshof
BGH	Bundesgerichtshof

დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა სუფთა სახის ქონებრივი ზიანისათვის

I. შესავალი

საქართველო ყოველწლიურად ვითარდება და საკუთარ ღირსეულ ადგილს იმკვიდრებს ევროპული სამართლისა და ეკონომიკის ოჯახში, რაზეც ცალსახად მეტყველებს 2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირთან გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულება.¹ თანამედროვე ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, ჯერ კიდევ მრავლად არის წარმოდგენილი და მეტად აქტუალურია ყოფითი (შრომითი, საოჯახო, მემკვიდრეობითი და ა.შ.) სახის დავები, თუმცა, სწორედ ქართული ეკონომიკის განვითარებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ წვრილმან ყოფით დავებთან ერთად გამოჩნდა აგრეთვე სხვა მეტად საინტერესო და საყურადღებო სამართლებრივი კაზუსები.

XIX - XX საუკუნეებში სამართალმა მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა, თუმცა, ტექნიკის, ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებამ იგი კვლავ ახალ გზაგასაყარზე დააყენა. სამართლიანობა და სამართალი ყოველთვის სინონიმებად არ გვევლინება, უფრო მეტიც, სამართალი წესრიგის დამყარების მიზნით ხშირად უსამართლობასაც კი აკანონებს.

XXI საუკუნეში ეკონომიკისა და ტექნიკის განვითარებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თანამედროვე მსოფლიოში ვაჭრობა უკვე კრიპტოვალუტით ხორციელდება.² კრიპტოვალუტით განხორციელებული გადახდა მეტად აქტუალურია არა მხოლოდ ფინანსური კუთხით, არამედ სამართლებრივი კუთხითაც. ჩაითვლება თუ არა კრიპტოვალუტის სანაცვლოდ რაიმე ნივთის მიღება ნასყიდობად, თუ სახეზე იქნება გაცვლის ხელშეკრულება, რადგან ოფიციალურად არც ერთი კრიპტოვალუტა საქართველოში სახელმწიფოს მიერ არ არის აღიარებული, როგორც ფული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477.2 მუხლის თანახმად კი მყიდველი

¹ საერთაშორისო ხელშეკრულება - „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“;

² *ჭყოიძე ნ., ტომარაძე გ.*, ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა და მისი თავისებურებები ვირტუალური ვალუტების რეგულირება (bitcoin-ის მაგალითზე), ეკონომიკა და საბანკო საქმე, ტომი 2, N3, საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი, 2014, 41-42.

მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

ასევე, დღესდღეობით გარიგებების გაფორმება და მხარეებს შორის ურთიერთობების წარმართვა ხშირად ვებგვერდების მეშვეობით მიმდინარეობს. ვებგვერდის მეშვეობით გაფორმებული გარიგება საკმაოდ მნიშვნელოვანია მისი ფორმიდან გამომდინარე. საინტერესოა ღილაკზე თითის დაჭერა უნდა ჩაითვალოს თუ არა - ა) ნების გამოვლენად და ბ) არის თუ არა ღილაკზე თითის დაჭერა საკმარისი იმისათვის, რომ წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების ყველა წინაპირობა სახეზე იყოს. თუმცა, აღნიშნულ თემებზე მსჯელობა ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს. მოცემული საკითხები ცალსახად ხაზს უსვამს, თუ რამდენად განვითარდა მსოფლიო და შესაბამისად სამართალმა თავის მხრივ მუდმივად ფეხი უნდა აუწყოს აღნიშნულ ინოვაციებს.

ნაშრომში განხილულია არა მხოლოდ თანამედროვე ქართული, არამედ მსოფლიოს სამოქალაქო სამართლის კერძოდ, დელიქტური სამართლისათვის აქტუალური საკითხი - სუფთა (წმინდა) სახის ქონებრივი ზიანი და პასუხისმგებლობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყურადღება გამახვილებულია სუფთა სახის ქონებრივი ზიანის წარმოშობის მიზეზებზე და მათი ანაზღაურების გზებსა და მიდგომებზე. დელიქტური სამართალი და სუფთა სახის ქონებრივი ზიანი დიდ როლს თამაშობს დემოკრატიული სახელმწიფოების განვითარებაში. ნაშრომში განხილულია ის პრაქტიკული პრობლემები, რასაც თანამედროვე იურისტები აწყდებიან მსგავსი დავების განხილვისას. ნაშრომი შეიცავს უცხოური სამართლის მიდგომას მსგავსი პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით და ახდენს, როგორც ერთმანეთთან, ასევე ქართულ კანონმდებლობასთან მიმართებით, შედარებითსამართლებრივ ანალიზს.

დღესდღეობით სუფთა სახის ქონებრივი ზიანი (pure economic loss) წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე განხილვად და სადაო სამართლებრივ საკითხს თანამედროვე მსოფლიოში. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე შეკითხვა, რომელზე მსჯელობაც და პასუხის გაცემაც წარმოადგენს მოცემული ნაშრომის მიზანს: სად გადის ზღვარი სუფთა ქონებრივ ზიანსა და საგნის ან სხეულის დაზიანებით გამოწვეულ ზიანს შორის? სუფთა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში რამდენად ენიჭება დელიქტურ სამართალს უპირატესობა სახელშეკრულებო სამართალთან მიმართებაში?! როგორ უნდა მიუდგეს თანამედროვე დელიქტური სამართალი აღნიშნული საკითხის გადაჭრას? ხომ არ გამოიწვევს მსგავსი დავები სასამართლოების გადატვირთვას?!

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თავად სუფთა ქონებრივი ზიანის ერთგვაროვანი განმარტება სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს. აღნიშნული გამოწვეულია იმ ფაქტორით, რომ ნაწილი ქვეყნების სამართლისა ან საერთოდ არ აღიარებს მას, ან არ მიჯნავს მას ზიანის სხვა სახეებისგან. ტერმინი სუფთა სახის ქონებრივი ზიანი გამოიყენება ისეთი დანაკლისის მიმართ, რომელიც არ არის გამოწვეული სხეულის, ჯანმრთელობის, ნივთის ან სხვა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფით.

საქართველოში აღნიშნული თემის მნიშვნელობა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ საკითხი, რომელიც ევროპული თუ ამერიკული სამართლისთვის წინა საუკუნიდან მოყოლებული არის აქტუალური, ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი საქართველოში. არ არსებობს ჩამოყალიბებული ქართული სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. მოცემულ საკითხზე არ არსებობს ქართულენოვანი სამეცნიერო ნაშრომები.

აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ აღრევაა როგორც ქართული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, ასევე - სამეცნიერო ნაშრომებში სუფთა სახის ქონებრივ ზიანსა (pure economic loss) და ხელშეკრულების/გარიგების პირობების დარღვევიდან ან ნივთის/სხეულის დაზიანებიდან გამოწვეულ მიუღებელ შემოსავალს შორის.

აღნიშნული თემის დამუშავებისას ნაშრომში განხილულია სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა, მათ შორის ევროპული და ანგლო-ამერიკული. მიმაჩნია, რომ აღნიშნული დაეხმარება მკითხველს მაქსიმალურად დაინახოს საკითხის აქტუალობა და ჩაწვდეს პრობლემის არსს.

სუფთა სახის ქონებრივი ზიანის განმარტება პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ ქართული, არამედ უცხოური სამართლისათვისაც. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური სასამართლო პრაქტიკა მდიდარია და შესაბამისად, აღნიშნული სადაო საკითხიც მუდმივად განვითარების პროცესშია.

ასევე მინდა განვმარტო, რომ მოცემული ნაშრომის დაწერის მიზანს არ წარმოადგენს ქართული სამართლისა, თუ სასამართლო პრაქტიკის დაკნინება სხვა, სამართლებრივად მეტად მდიდარ და განვითარებულ, ქვეყნებთან შედარებით. მოცემული თემის დამუშავების მიზანია, გადაიდგას პირველი ნაბიჯები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რასაც შემდგომში მოჰყვება სასამართლო პრაქტიკაც, რომელიც გაამდიდრებს და წვლილს შეიტანს ამ მეტად რთული, არაერთგვაროვანი, თუმცა, მნიშვნელოვანი საკითხის განვითარებაში.

ნაშრომში გადმოცემულია სუფთა სახის ქონებრივი ზიანის კლასიფიკაცია ტიპების მიხედვით, რომლებიც გავრცელებულია უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში. ნაშრომი ასახავს და აყალიბებს ერთგვაროვან პოზიციას, რომელიც ცალსახად შეუწყობს ხელს ამ მიმართულებით ქართული სასამართლო პრაქტიკის განვითარებას.

II. ზიანის ცნება და სახეები

იმისათვის, რომ სრულყოფილად ვიმსჯელოთ სუფთა სახის ქონებრივი ზიანის არსზე, მნიშვნელოვანია, რომ გავარკვიოთ ზოგადად ზიანის ცნება და გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან მისი სახეები. საინტერესოა რა სახის ურთიერთობასთან გვაქვს კავშირი, როდესაც წარმოიშობა სუფთა სახის ქონებრივი ზიანი (pure economic loss).

1. განსხვავება ზიანსა და ზარალს შორის

უპირველეს ყოვლისა სანამ უშუალოდ ზიანის ცნებასა და სახეებზე ვიმსჯელებთ, მნიშვნელოვანია, რომ მკითხველმა დაინახოს კავშირი ან სხვაობა ზიანსა და ზარალს შორის.

ენათმეცნიერებაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ტერმინოლოგიურად ზიანი და ზარალი სინონიმებს წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ ზიანიცა და ზარალიც დანაკლისთან, მიუღებელ შემოსავალთან, დანაკარგთან ასოცირდება.³ ორივე მათგანი ქართულ ენაში თურქული ენიდან შემოვიდა და შინაარსობრივად ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. სიტყვა ზარალი თურქულად - zarar (ზარარ), ხოლო სიტყვა ზიანი თურქულად ziyan (ზიან). თურქულ ენაში ორივე სიტყვა დაშავებას, დანაკლისს, ვნებას აღნიშნავს, თუმცა, აქვე გასაზიარებელია იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული სხვა მოსაზრებაც,⁴ რომლის მიხედვითაც ზარალი ზიანთან შედარებით უფრო კონკრეტული, ვიწრო ცნებაა და მხოლოდ

³ იხ. ნეიმანი ა., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1978, 182;

⁴ ჩხაიძე ს., ზიანის ცნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში (მოკლე ანალიზი), ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N2(41), 2014, 6.

ქონებრივ დანაკლისს აღნიშნავს, თავად ზიანი კი ფართოა და იგი შეიძლება იყოს როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი.⁵

აღსანიშნავია ფაქტი, რომ საქართველოს კონსტიტუცია⁶ დღესდღეობით იცნობს ტერმინს „ზიანი“,⁷ თუმცა, ეს ყოველთვის ასე არ ყოფილა და იგი კონსტიტუციაში მხოლოდ 2017-2018 წლის ცვლილებების შედეგად გამოჩნდა. საკონსტიტუციო ცვლილებებამდე ვხვდებოდით ტერმინს „ზარალი“, რომელიც 42.9 მუხლში იყო ჩამოყალიბებული⁸ და კანონმდებლის მოსაზრებით შინაარსობრივად იმავეს გადმოსცემდა, რასაც დღევანდელი რედაქციით არსებული 18.4 მუხლი.

სწორ გადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია, ქართული კანონმდებლის მიერ საქართველოს კონსტიტუციაში ამ ორი ტერმინის ერთმანეთით ჩანაცვლება, რადგან ტერმინი ზარალი, მხოლოდ ქონებრივ დანაკლისს მოიცავს, თავად ნორმის შინაარსიდან გამომდინარე კი ცალსახაა, რომ კანონმდებელს ნებისმიერი სახის დანაკლისის, მათ შორის არა მხოლოდ ქონებრივის, არამედ არაქონებრივი ზიანის (მოარალური ზიანი) საახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების გარანტიის გამტკიცების სურვილი ჰქონდა, რამაც ადგილი ჰპოვა 2017-2018 წწ. საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებულ ცვლილებებში.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, თავად ქართულ სამოქალაქო კანონმდებლობაზე მსჯელობაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 18.6 მუხლი აიგივებს ერთმანეთთან ზიანსა და ზარალს. „...პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც.“

შესაბამისად აშკარაა, რომ სამწუხაროდ კანონმდებელს მიაჩნდა და მიაჩნია, რომ აღნიშნული ორი სიტყვა რეალურად სინონიმს წარმოადგენს და მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებისა თანაბარმნიშვნელოვნად იყენებდა და იყენებს ორივე სიტყვას, როგორც სამოქალაქო კოდექსში, აგრეთვე ქვეყნის უზენაეს კანონში. თავად კანონმდებლის მიერ ტერმინოლოგიური აღრევა პრობლემას უქმნის ერთიანი სამართლებრივი ენის ჩამოყალიბებას, რაც უახლოეს მომავალში აუცილებლად გამოსასწორებელია.

⁵ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 413-ე მუხლები;

⁶ საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995;

⁷ იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი;

⁸ იხ. საქართველოს კონსტიტუცია, კონსოლიდირებული ვერსია (04/10/2013-13/10/2017) მუხლი 42.9 - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=33>.

2. ზიანის ცნება და მისი ანაზღაურების მიზნები

ეტიმოლოგიური კუთხით ზიანის შინაარსსა და მნიშვნელობაზე მსჯელობის შემდგომ მნიშვნელოვანია მისი სამართლებრივი შინაარსის განხილვა. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ზიანი არის ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების ან კეთილდღეობის განადგურება და დამცირება, შესაბამისად, მათთვის რაიმე დანაკლისის მიყენება და ვნება.⁹ ამასთანავე ცხადია, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსი და სხვა ნორმატიული აქტები არ გვაძლევენ ზიანის ერთიან ლეგალურ დეფინიციას, თუმცა მათი განმარტება სასამართლო გადაწყვეტილებებსა¹⁰ და სამეცნიერო ნაშრომებში¹¹ მრავლად გვხვდება. სამწუხაროდ, ვერც სასამართლო გადაწყვეტილებები და იურიდიული ლიტერატურა ვერ აყალიბებს ზიანის ერთგვაროვან განმარტებას და ცნებას. აღნიშნულ ფაქტს ნათლად ასახავს კერძო სამართლის უნიფიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვან დოკუმენტში - „ევროპული მოდელური კოდექსში“ (DCFR) ზიანის განმარტებისა და ცნების ჩამოყალიბების ფაქტი. რომლის დროსაც ზიანი (Damage) განმარტებული იყო შემდეგი სახით: „ზიანი ნიშნავს ნებისმიერ უარყოფით შედეგს. იგი მოიცავს დანაკარგებსაც და დაზიანებებსაც.“ საბოლოო ვარიანტში კი აღნიშნული განმარტებიდან ამოიღეს სიტყვები დანაკარგი (Loss) და დაზიანება (Injury) ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ნებისმიერი უარყოფითი შედეგი თავისთავად მოიცავდა მეორე წინადადებაში არსებულ ფაქტებსაც.¹²

ზიანი საკმაოდ ფართო ცნებაა და შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ დაზიანებამ სულ უფრო და უფრო მეტი დანაკლისი გამოიწვიოს მომავალში. თუმცა, ზიანის შემთხვევაში ყოველთვის უნდა მიექცეს ყურადღება იმ ფაქტს, მისი ანაზღაურება ხომ არ აყენებს დაზარალებულს უფრო კარგ მდგომარეობაში ვიდრე ის იქნებოდა, რომ არა ზიანის დადგომის ფაქტი.¹³

როგორც უკვე ვახსენე, ზიანის ცნების განმარტებას, შეგვიძლია ვეძიოთ სამეცნიერო ლიტერატურაში. მიუხედავად მისი იურიდიული, ლეგალური დეფინიციის ერთგვაროვნების პრობლემისა, იურისტები მაინც თანხმდებიან,

⁹ ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, 378;

¹⁰ იხ. მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე №ას-507-481-2011, 2012 წლის 30 იანვარი და საქმეზე № ას-155-145-2017, 2018 წლის 26 ოქტომბერი;

¹¹ იხ. მაგ. ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 366;

¹² ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., & ჯანაშია ლ., (შემდგომში - ცერცვაძე გ.) სახელმწიფო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2014, 646;

¹³ Dam C. V., European tort law, 2nd edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 336.

რომ ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ვერ დადგება, თუ სახეზე არ გვექნება ზიანი. ანაზღაურებას ექვემდებარება, მხოლოდ ანაზღაურებაუნარიანი ზიანი, ასეთი კი სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული ზიანია. აქვე მნიშვნელოვანია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, უმნიშვნელო ზიანი არ ექვემდებარება ანაზღაურებას, რადგან თავად სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები ატარებენ მის რისკს.¹⁴

ზიანი არის ნებისმიერი არანებაყოფლობითი მსხვერპლი, რაც გამოწვეულია ერთი მხრივ აქტივების შემცირებით ან მეორე მხრივ პასივების ზრდით. ზიანი თავის მხრივ მოიცავს იმ ხარჯებსაც, რომელიც პირმა გასწია სხვა მეტად მნიშვნელოვანი სიკეთის დაზიანების შესამცირებლად ან სრულად თვიდან ასაცილებლად. იმისათვის, რომ მსგავსი ხარჯები ჩაითვალოს ზიანად, აუცილებელია მისი ობიექტური შეფასება და დადგენა, თუ რამდენად აუცილებელი იყო ამ ხარჯების გაწევა ზიანის პრევენციისათვის.¹⁵

საინტერესოა აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის დელიქტური სამართლის ძირითადი ნორმები. ასე მაგალითად, ბერძნული სამართლის მიხედვით, ზიანი მოიცავს ყველა სახის დანაკლისს, რომელიც მიადგება პირის მატერიალურ ან არამატერიალურ სიკეთეებს.¹⁶ ავსტრიაში მიიჩნევა, რომ დელიქტური სამართლის მიზანს წარმოადგენს მოახდინოს ზიანის პრევენცია და ანაზღაურება. აქვე ცალსახაა, რომ დელიქტური სამართალი არ ატარებს სადამსჯელო ხასიათის ფუნქციას.¹⁷

ზიანის ანაზღაურების საკითხი მყარად დგას ე.წ. „სამართლიანობის შესწორების“ (corrective justice) იდეაზე, რომლის მიხედვითაც, ზიანის ანაზღაურების ძირითად მიზანს წარმოადგენს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, რომელიც აღარ არსებობს ზიანის მიყენების ფაქტის გამო.¹⁸ ფრანგული სამართლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების ძირითად მიზანს

¹⁴ ზოიდე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 366;

¹⁵ რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 408, ველი 8;

¹⁶ *Deliyanni-Dimitrakou C.*, Pure Economic Loss under Greek Law, *Hellenic Review of International Law*, 59, 2006, 90;

¹⁷ *Steininger B. C.*, *European Tort Law 2005*, Koziol H., Steininger B. C. (eds.), Springer, Vienna/ New York, 2005, 119;

¹⁸ *Егорова М.А., Крылов В.Г., Романов А.К.*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 80.

წარმოადგენდა თავად დანაკლისის რეპარაცია და არა ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის დასჯა.¹⁹

დაახლოებით მსგავსი ფუნქციის მატარებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-415 მუხლები. ზიანის ანაზღაურების ძირითად მიზანს საქართველოშიც დანაკლისის გამოსწორება (გამოსწორების ფუნქცია) და ზიანის მიყენებაზე ხელის აღების სურვილის გაჩენა (პრევენციის ფუნქცია) წარმოადგენს.²⁰

საინტერესოა, აგრეთვე რომაელების შეხედულება დელიქტების მიმართ, მართალია, ძველ რომში დელიქტი გამომდინარეობდა დანაშაულიდან და ზიანის ანაზღაურება დამოკიდებული იყო დამტკიცებოდა თუ არა პირის სისხლისსამართლებრივი ბრალეულობა,²¹ თუმცა, ეს მაინც წარმოადგენდა დელიქტური სამართლის პირველად ჩანასახს. ცნობილი რომაელი იურისტი - გაიუსი მიიჩნევდა, რომ ვალდებულებები არსებობს ორი სახის. პირველი, რომელიც მომდინარეობს გარიგებიდან/კონტრაქტიდან (*obligationes ex contractu*) და მეორე, რომელიც მომდინარეობს დელიქტიდან (*obligationes ex delicto*).²² აქვე მნიშვნელოვანია საკითხი, რომ გაიუსმა პირველმა სცადა უარი ეთქვა ვალდებულების ორგვაროვან ბუნებაზე და მათგან გაემიჯნა უსაფუძვლო გამდიდრება, რომელსაც არც ტიპური სახელშეკრულებო და არც დელიქტური ვალდებულებებისათვის დამახასიათებელი ბუნება არ გააჩნდა.²³

აღსანიშნავია, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 249-ე მუხლის სამართლებრივ ასლს წარმოადგენს ქართული სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი. საქართველოში ზიანის ერთიანი ცნება კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, არც სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში არის გაწერილი ზიანის ლეგალური დეფინიცია. თუმცა, ვიდრე უშუალოდ გადავალთ დელიქტებსა და დელიქტურ სამართალზე საინტერესო იქნება განვიხილოთ თავად ზიანის სახეები და ვიმსჯელოთ მათ მსგავსებასა და განსხვავებებზე.

3. ზიანის სახეები

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსის 408-415 მუხლები არეგულირებს ზიანის ანაზღაურების პირობებსა და წესებს და იგი შეეხება

¹⁹ შდრ. *Dam C. V.*, European tort law, 2nd edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 352;

²⁰ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 408, ველი 3;

²¹ *ცერცვაძე გ.*, სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2014, 67;

²² *Mousourakis G.*, Roman Law and the Origins of the Civil Law Tradition, Springer, Cham, 2015, 127;

²³ *ცერცვაძე გ.*, სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2014, 49.

ნებისმიერი სახის ზიანს. სამეცნიერო ლიტერატურაში და კანონმდებლობაში ვხვდებით რამდენიმე სახის ზიანს. განვიხილოთ დეტალურად თითოეული მათგანი და გამოვყოთ მოცემული თემისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.

როგორც უკვე ვახსენეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408.1 მუხლი წარმოადგენს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 249.1 პარაგრაფის სამართლებრივ ასლს. ორივე შემთხვევაში საუბარია ზიანის ანაზღაურების სამართლის ძირითად პრინციპზე - ნატურით ანაზღაურებაზე.²⁴ ნატურით რესტიტუციის მიზანს წარმოადგენს დაზარალებული მხარის ინტერესის დაცვა. დაზარალებული არ არის ვალდებული, რომ მხოლოდ დაზიანებული ნივთის ღირებულებით დაკმაყოფილდეს არამედ მას შეუძლია ნივთის აღდგენა მოითხოვოს. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, რომელსაც არეგულირებს სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლი, როდესაც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შესაძლებელია, თუმცა, განსაკუთრებით დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.²⁵ აქვე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ხშირად ნატურით ანაზღაურებას მიმართავს ისეთი კრედიტორი, რომელსაც ქვეყანაში არსებული სამოქალაქო ბრუნვის ნაკლები იმედი აქვს. კრედიტორს, რომელსაც მიაჩნია, რომ მიღებული ფულადი კომპენსაციით თავად უფრო მარტივად შეიძენს სადავო ნივთებს, აღარ დაელოდება მოვალის მიერ ნატურით ანაზღაურებას და პირდაპირ ფულადი კომპენსაციის წესს მიმართავს.²⁶

კანადური, კერძოდ კი კვებეკური სამართალი, რომელიც, ფრანგული ფესვებიდან გამომდინარე, მეტად ახლოს არის ევროპულ კონტინენტურ სამართალთან გამოყოფს ზიანის 3 სახეს: სხეულებრივი (ჯანმრთელობის), მატერიალური (ქონებრივი) და მორალური ზიანი, თუმცა არ გამორიცხავს სხვა რაიმე სახის ზიანს ზოგადად დელიქტური სამართლის რეჟიმიდან.²⁷

²⁴ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბილისი, 2014, §249, 132, ველი 1;

²⁵ რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 408, ველი 16;

²⁶ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, მუხ. 408, 452-453;

²⁷ Bussani M., Palmer V., Pure Economic Loss: New Horizons in Comparative Law, Routledge Cavendish, London, 2008, 115.

3.1 ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი მოიცავს, როგორც ქონებრივ ისე არაქონებრივ ზიანს. მართალია ორივე სახის ზიანს ერთი მუხლი არეგულირებს, თუმცა მათ შორის სხვაობა ნამდვილად დიდია. ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს შორის სხვაობის დანახვა, ზოგ შემთხვევაში საკმაოდ რთულია. მათი გამიჯვნისთვის მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს, თუ რამდენად შეიძლება მიყენებული დანაკლისის ფულით შეფასება და არის თუ არა ეს ნივთი სამოქალაქო ბრუნვის საგანი?!²⁸

პიროვნების დაზიანება, შესაბამისად მისი ჯანმრთელობის დაზიანება არა მხოლოდ იწვევს მატერიალურ ზიანს, რაც გამოიხატება მკურნალობის ხარჯებში, ან დროებითი შრომისუუნარობით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლით ხელფასის სახით, აგრეთვე იწვევს პირის არამატერიალურ დაზიანებასაც, რაც გამოწვეული იყო მისი ტანჯვითა და ტკივილით.²⁹ ექვემდებარება თუ არა არამატერიალური ზიანი ანაზღაურებას, გადასაწყვეტია ყოველი სამართლებრივი სისტემის მიერ ინდივიდუალურად.

თუ ქონებრივი ზიანი გამოწვეულია მხოლოდ ქონებრივი, მატერიალური სიკეთის ხელყოფით, არაქონებრივი ზიანის დადგომისას სახეზე გვაქვს არამატერიალური სიკეთის ხელყოფა, როგორცაა, მაგალითად ადამიანის ჯანმრთელობა, პატივი ან ღირსება - ყველაფერი რაც სამოქალაქო ბრუნვის საგანს არ წარმოადგენს. მართალია ადამიანის ჯანმრთელობა და მისი ღირსება არ წარმოადგენს ქონებას, თუმცა მათი ხელყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მაინც შესაძლებელია, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია აღნიშნული ზიანის გამოთვლის საკითხი. სამოქალაქო კოდექსი არაქონებრივ (არამატერიალურ) ზიანის ქვეშ აგრეთვე მოიაზრებს მორალურ ზიანს, რომლის ანაზღაურების წესიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსისთვის, მისი მიღების მომენტში სიახლეს წარმოადგენდა.³⁰ აღსანიშნავია, რომ ბერძნულ სამართალში სიტყვა „ზიანი“ მიესადაგება მხოლოდ ქონებრივ დანაკლისს, არაქონებრივ დანაკლისთან კი - გამოიყენება ტერმინი, „მორალური ვნება“, რომელიც მოიაზრებს ტკივილსა და განცდას.³¹

²⁸ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 408, ველი 12;

²⁹ *Dam C. V.*, European tort law, 2nd edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 346;

³⁰ *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 367;

³¹ *Deliyanni-Dimitrakou C.*, Pure Economic Loss under Greek Law, Hellenic Review of International Law, 59, 2006, 90.

ქონებრივი დანაკლისისას ზიანის გამოთვლა შედარებით მარტივად ხდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408.1 მუხლის თანახმად ზიანის მიმყენებელმა პირმა უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა რომ არ მომხდარიყო ზიანის მიყენების ფაქტი. შესაბამისად, თავად ქონებრივი ზიანის გამოთვლის შემთხვევაშიც ჰიპოთეტურ ქონებრივ მდგომარეობასთან უნდა მოვახდინოთ დაზარალებული პირის ახლანდელი ქონებრივი მდგომარეობის შეფარდება. სწორედ ამ ორ ერთეულს შორის არსებული სხვაობისას დამდგარი უარყოფითი ნაშთი წარმოადგენს ქონებრივ ზიანს.³² აღნიშნულ გამოთვლის წესსა და ხერხს სამეცნიერო ლიტერატურაში „დიფერენციის ჰიპოთეზით“ მოიხსენიებენ, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქონებრივი დანაკლისი, არამედ მიუღებელი შემოსავალიც, რომელსაც არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი. ქონებრივი ზიანის ერთ-ერთ კონკრეტიზაციას წარმოადგენს სუფთა სახის ქონებრივი ზიანი, რომელზეც ოდნავ მოგვიანებით უფრო დეტალურად გვექნება საუბარი, ვინაიდან სწორედ ის წარმოადგენს ნაშრომის ძირითად თემას.

აღსანიშნავია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება ყველა განვითარებული სახელმწიფოს კანონმდებლობით რეგულირდება, თუმცა, მათ შორის სხვაობა ძირითადად ანაზღაურების მოცულობით შემოიფარგლება. ევროპის კონტიტენტზე კი, ორი ძირითადი მოდელი არსებობს. ფრანგული კანონმდებლობა არ ავლებს მკაფიო ხაზს ზიანის სახეებს და მათი ანაზღაურების ფარგლებს შორის, შესაბამისად ფრანგულმა სასამართლომ შესაძლოა მორალური ზიანის ანაზღაურება „არაერთგულ“ მეუღლესაც კი დააკისროს. ქართული სამართალი კი მკაფიოდ მიჰყვება გერმანული სამართლის ოჯახის ტრადიციებსა და მიდგომებს, შესაბამისად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც აქვს ცალსახა პოზიცია, რომლის მიხედვითაც მორალური ზიანის ანაზღაურება მოხდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.³³

მნიშვნელოვანია, რომ ქართული კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად აყალიბებს შემთხვევებს, როდესაც უნდა მოხდეს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413.2 მუხლის თანახმად,

³² რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 408, ველი 10;

³³ ცერცვაძე გ., სახელმეკრულებო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2014, 663.

ეს შესაძლებელია მოხდეს სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული სულიერი ტანჯვისას.³⁴

განსხვავებული მიდგომაა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ზიანი და მასთან დაკავშირებული სამართალი პირველ რიგში მორალურ ზიანთან ასოცირდება და ამით არის ცნობილი. ამერიკული სამართალი ცნობილია მორალურ ზიანთან დაკავშირებით სადამსჯელო მიზნებით, როდესაც ზიანის მიმყენებელს მილიონობით დოლარსაც კი აკისრებს, რამაც მათი მოსაზრებით, სხვა პოტენციურ ზიანის მიმყენებლებზე, გაფრთხილების და პრევენციის ფუნქცია უნდა შეასრულოს.³⁵

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413.2 მუხლი არ საუბრობს სიცოცხლის მოსპობის დროს გარდაცვლილის ახლობლებისადმი მიყენებული სულიერი ტკივილით გამოწვეული ზიანის მორალური ზიანის ფარგლებში ანაზღაურების შესახებ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2015 წელს მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება,³⁶ რომლითაც მოხდა გარდაცვლილი პიროვნების ახლობლებისათვის მიყენებული სულიერი ტკივილისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება. ამავე გადაწყვეტილებაში უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანისათვის დამახასიათებელი არის ფიზიკური პირის ფსიქიკურ და სულიერ ბუნებაზე უარყოფითი ზემოქმედება, რაც შემდგომ აისახება მის ფიზიკურ და სულიერ მძიმე ტანჯვაში. აღნიშნული გადაწყვეტილება საკმაოდ სადაოა და მასზე ერთიანი პოზიცია არ არის ჩამოყალიბებული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.³⁷ განსხვავებული პოზიციაა აგრეთვე მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, პირის გარდაცვალებით გამოწვეულ ზიანთან დაკავშირებით. საინტერესოა, ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა მხოლოდ მატერიალური ზიანი (გარდაცვლილის ოჯახის წევრებს, რომლებიც მის ფინანსურ კმაყოფაზე იმყოფებოდნენ), თუ აგრეთვე - არამატერიალური/მორალური ზიანიც (სულიერი ტრავმისათვის) იმ პირის მიმართ, ვინც გამოიწვია პირის გარდაცვალება.³⁸

³⁴ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 413, ველი 1;

³⁵ *Dam, C. V.*, European tort law, 2nd edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 350;

³⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-979-940-2014;

³⁷ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 413, ველი 6;

³⁸ *Dam, C. V.* European tort law, 2nd edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 347.

არაქონებრივი (არამატერიალური ან მორალური) ზიანის მოცულობის გამოთვლა შედარებით რთულია და დიფერენციის ჰიპოთეზის მოცემულ შემთხვევაში გამოყენება არ გამოგვადგება, ვინაიდან ადამიანის ჯანმრთელობისა და სხეულის დაზიანებისგან გამოწვეული ძლიერი სულიერი ტანჯვა შეუფასებელია.³⁹

ქართული სამართლის მიდგომა მორალური ზიანის მიმართ გამომდინარეობს გერმანული სამართლიდან, რომლის მიხედვითაც პიროვნების დაზიანება იწვევს არა მხოლოდ მატერიალურ ზიანს, არამედ არამატერიალურ (მორალურ) ზიანსაც. გერმანული ტერმინი, რომელიც გამოიყენება მორალურ ზიანთან მიმართებით (Schmerzensgeld) გაცილებით ფართოა სხვა კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართალში გადმოცემული მსგავსი ტერმინისა.⁴⁰

უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა აყალიბებს მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების 3 ძირითად მიზანს. პირველ რიგში მორალური ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მიყენებული ზიანი არის ცხადი და ცალსახა. მეორე მხრივ, მორალური ზიანი ატარებს სოციალურ ფუნქციას, რომელიც მიმართულია აღადგინოს დაზარალებული პირის თვითშეგნება, შეფასება და ღირსება საზოგადოების თვალში. საბოლოოდ კი მორალური ზიანის მიზანს წარმოადგენს დამრღვევი პირის სანქცირება, დასჯა მისი შეუფერებელი ქმედებისათვის, რომელიც იყო ანტისაზოგადოებრივი ხასიათის.⁴¹ გერმანული სამართლის მიხედვით, არაქონებრივი (არამატერიალური) ზიანის ანაზღაურება ატარებს ორმაგ ფუნქციას: სამართლიანი კომპენსაცია (Ausgleich) მიყენებული ტკივილისათვის და დაზარალებული პირის დაკმაყოფილება (Genugtuung) მისი უფლებების დარღვევის საპირწონედ.⁴²

³⁹ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 408, ველი 11;

⁴⁰ იხ. *Markesinis B. S., Unberath H.*, *The German Law of Torts: A Comparative Treatise*, 4th edition, Hart Publishing, Oxford and Portland, 2002, 915;

⁴¹ *Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К.*, *Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие*, Юстицинформ, Москва, 2017, 44;

⁴² *Dam C. V.*, *European tort law*, 2nd edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 349 და *Markesinis B. S., & Unberath H.*, *The German Law of Torts: A Comparative Treatise*, 4th edition, Hart Publishing, Oxford and Portland, 2002, 916.

3.2 სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანი

ზოგადად ზიანის წარმოშობა არ არის დაკავშირებული მხოლოდ ხელშეკრულებით, ან რაიმე გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევასთან. როგორც უკვე ითქვა ძველ რომში ზიანის წარმოშობა და ზიანის ანაზღაურება პირდაპირ კავშირში იყო ზიანის მიმყენებლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან. მოგვიანებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გაიმიჯნა სამოქალაქოსამართლებრივისაგან და შესაძლებელი გახდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა პირისაგან მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებებაში მიცემის გარეშეც.

სამოქალაქო სამართალი თავის მხრივ გამოყოფს ვალდებულების წარმოშობის ორ სახეს (სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (კანონისმიერი) ვალდებულებები).⁴³ შესაბამისად, სავსებით ლოგიკურია აღნიშნული დაყოფის მსგავსად არსებობდეს ზიანის წარმოშობის ორ გზაც. პირველ შემთხვევაში ზიანი შეიძლება წარმოიშვას მხარის მიერ გარიგებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით ან სულაც საერთოდ შეუსრულებლობით. მეორე შემთხვევისას მხარეებს შორის წინასწარ არ არსებობს რაიმე ვალდებულებითი ურთიერთობა, შესაბამისად, მათ შორის არ არსებობს რაიმე გარიგება ან წინასწარი შეთანხმება და შესაბამისად ზიანის დადგომის შემთხვევაში იგი უნდა ჩაითვალოს არასახელშეკრულებოდ. სახელშეკრულებო სამართალი ტრადიციულად მუდმივად არეგულირებდა ეკონომიკურ/ქონებრივ ურთიერთობებს. თუ გარიგების მონაწილე მხარემ დაარღვია ხელშეკრულების პირობები, რითიც ზიანი გამოიწვია, მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა ზიანი რომ არ დამდგარიყო.⁴⁴

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად,⁴⁵ სახელშეკრულებო ზიანი შეიძლება გამოწვეული იყოს გარიგებიდან წარმომავალი ვალდებულებების, კანონის ან ადმინისტრაციული აქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისას. ასეთ შემთხვევაში მხარის პასუხისმგებლობა შეიძლება გათვალისწინებული იყოს თავად გარიგების პირობებით, რასაც მხარეები ხშირად მიმართავენ და ასეთის არ არსებობის შემთხვევაში კანონის იმ ნორმებით, რომლითაც რეგულირდება აღნიშნული

⁴³ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, Gccc.ge, 26/10/2016, მუხლი 316, ველი 3;

⁴⁴ *Bowal P.*, Pure Economic Loss Claims, *LawNow*, vol. 25, no. 5, 2001, 30;

⁴⁵ *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, 378.

ურთიერთობა. შესაბამისად, სახელმწიფოებო ზიანის არსებობა და მისი ანაზღაურების ვალდებულება მუდმივად კავშირშია გარიგების დარღვევასთან ან/და შეუსრულებლობასთან.⁴⁶

რაც შეეხება არასახელმწიფოებო ზიანს, როგორც უკვე ვახსენე, მისი წარმოშობის წინაპირობას წარმოადგენს არა რაიმე გარიგების ან შეთანხმების დარღვევა, არამედ უშუალო სამართალდარღვევა (დელიქტი), რის გამოც მას ხშირად „სამართალდარღვევიდან წარმოშობილ ვალდებულებას“ უწოდებენ.⁴⁷ სწორედ დელიქტური სამართალი და მის გენერალური დათქმა უნდა განვიხილოთ.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მხარეებს შორის შეიძლება არსებობდეს გარიგება, თუმცა მიყენებული ზიანი მაინც შესაძლოა ჩაითვალოს დელიქტად. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მხოლოდ მხარეთა შორის სახელმწიფოებო ურთიერთობის არსებობა არ არის საკმარისი, რომ ავტომატურად გამოვრიცხოთ დელიქტი. ნებისმიერი ზიანი, რომელიც გამოწვეულია უკანონო ქმედებით და სცდება შეთანხმების ფარგლებს შესაძლოა დაკვალიფიცირდეს დელიქტად. შესაბამისად, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს სახელმწიფოებო და დელიქტური პასუხისმგებლობის ცალსახა განსხვავება, რადგან შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე ქმედება ხშირად ჩაითვალოს როგორც დელიქტად ასევე გარიგებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევად.⁴⁸

ინგლისში, ხშირად მომჩივანი მხარე ზიანის მიმყენებლის მიმართ სახელმწიფოებო პასუხისმგებლობასთან მიმართებაში უპირატესობას ანიჭებს არასახელმწიფოებო (დელიქტურ) პასუხისმგებლობას, ვინაიდან ინგლისური სამართლის მიხედვით იგი დაზარალებულისათვის მეტად მომგებიანი და ხელსაყრელია. მსგავსი არჩევანით შესაძლებელი ხდება ისეთი ზიანის ანაზღაურებაც კი, რომელიც გამოწვეულია მონაწილე მხარის გარდაცვალებით. ასეთ სიტუაციაში კი პირის პასუხისმგებლობის გაწერა ხელმწიფოებო შეუძლებელია. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ არასახელმწიფოებო პასუხისმგებლობის დაყენება მაშინაც არის შესაძლებელი, როდესაც სახელმწიფოებო დავის დაწყება შეუძლებელია, ასეთი სიტუაციები ხშირია, როდესაც მომჩივანი ვერ ამტკიცებს ხელმწიფოებო დადების ფაქტის არსებობას. ამასთანავე, არსებობს ზოგადი

⁴⁶ *ცერცვაძე გ.*, სახელმწიფოებო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2014, 650;

⁴⁷ *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, მუხ. 992, 379;

⁴⁸ *დუნდუა მ.*, დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელმწიფოებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი N1, თბილისი, 2009, 58.

მიდგომა, რომლის მიხედვითაც სახელშეკრულებო დავისას ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ იმ ოდენობით, რაც დაზარალებულს უნდა მიეღო ხელშეკრულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო, დელიქტური სარჩელის დროს კი მსგავსი ჩარჩო არ არსებობს და იგი მოიაზრებს იმ ზიანის სრულ ანაზღაურებას, რომელიც მიადგა მომჩივანს დამზიანებლის ქმედებით.⁴⁹

3.3. ზიანის სხვადასხვა სახეები

სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე გავრცელებულია ზიანის სხვადასხვა სახეები.

ა) საკომპენსაციო და მორატორიული ზიანი

საკომპენსაციო ზიანის შემთხვევაში ზიანი მოსდევს ვალდებულების შეუსრულებლობას, ხოლო მორატორიულის შემთხვევაში კი სახეზე გვაქვს ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანი.

ბ) რეალური ზიანი და მიუღებელი შემოსავალი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აგრეთვე იცნობს რეალურ ზიანს, რომელსაც იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით აიგივებენ ჩვენთვის უკვე ნაცნობ საკომპენსაციო ზიანთან, რადგან მის მიზანს წარმოადგენს დაუბრუნოს დაზარალებულს ის, რაც მას ისედაც ეკუთვნოდა.⁵⁰ რეალური ზიანისაგან განსხვავდება მიუღებელი შემოსავალი (სსკ-ს 411-ე მუხლი), რომელიც გარკვეულ წილად მჭიდროდ არის დაკავშირებული სუფთა სახის ქონებრივ ზიანთან და აღნიშნულ თემას მოგვიანებით უფრო დეტალურად განვიხილავ.

გ) პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანი

ნაშრომის ფარგლებში აგრეთვე განვიხილავთ პირდაპირ და არაპირდაპირ ზიანს, რომელსაც აგრეთვე შემხებლობა აქვს ძირითად თემასთან და ხშირად არასწორად აიგივებენ სუფთა სახის ქონებრივ ზიანთან.⁵¹

⁴⁹ *Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К., Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 102;*

⁵⁰ *ცერცვაძე გ.*, სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2014, 652;

⁵¹ *Bussani M. & Palmer V., The notion of pure economic loss and its setting, Pure Economic Loss in Europe, Bussani M. & Palmer V. (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 5.*

III. დელიქტი

როგორც წინა თავში ვისაუბრე, ზიანი ისევე როგორც ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს, როგორც გარიგებიდან, ასევე კანონით გათვალისწინებული ნორმებისა და საზოგადოებაში მიღებული და დადგენილი წესების დარღვევისაგან. არასახელშეკრულებო ზიანს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც დელიქტიდან წარმოშობილ ზიანად⁵². მოგვიანებით ვალდებულების წარმოშობის ორწევრიანი დაყოფა სამუდამოდ ჩანაცვლდა ოთხწევრიანი დაყოფით და გაჩნდა კვაზიდელიქტები და კვაზიხელშეკრულებები, რომლებზეც ქართულმა სამართალმა უარი თქვა და ისინი კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში გააერთიანა.⁵³ თუმცა, აღნიშნულ თემაზე მსჯელობა ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს ეხება, ჩემი ინტერესის სფეროს კი მოცემულ შემთხვევაში დელიქტური სამართალი წარმოადგენს, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-1008 მუხლებით რეგულირდება.⁵⁴

1. დელიქტის ცნება

სანამ უშუალოდ დელიქტურ გენერალურ დათქმაზე ვისაუბრებთ, მნიშვნელოვანია შევხვით თავად დელიქტის განმარტებას, აღნიშნული ტერმინი თანამედროვე ქართულ სამართალში არასახელშეკრულებო ზიანის სინონიმად გამოიყენება, თუმცა, საინტერესოა დელიქტისა და მისი ინგლისური სინონიმის (Tort) წარმოშობის განხილვა.

თანამედროვე სამართალი მკაფიოდ ავლებს ხაზს დანაშაულსა და დელიქტს შორის. მაშინ, როდესაც დელიქტი გამომდინარეობს ერთი ადამიანის მიერ მეორე ინდივიდისადმი (მსხვერპლი) განხორციელებული არასწორი ქმედებით, დანაშაული არის ის გადაცდომა, რომელიც იმდენად სერიოზულია, რომ მიმართულია სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ და რომელსაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს სასჯელი.⁵⁵ თუმცა, როგორც უკვე ვახსენე, ძველად თავად დელიქტი და დელიქტური

⁵² ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, მუხ. 992, 378;

⁵³ ცერცვაძე გ., სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2014, 49-50;

⁵⁴ ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, მუხ. 992-1008, 378-429;

⁵⁵ Mousourakis G., Roman Law and the Origins of the Civil Law Tradition, Springer, Cham, 2015, 143.

სამართლის წარმოშობა მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული კრიმინალურ/სისხლის სამართალთან. კერძო და საჯარო სამართლის საბოლოო გამიჯვნამ, სერიოზული ზეგავლენა მოახდინა, ასევე ზიანის ანაზღაურების კერძო სამართალში დამკვიდრების კუთხით.⁵⁶

დელიქტური სარჩელი საშუალებას აძლევს დაზარალებულს მოახდინოს საკუთარი დარღვეული უფლებების აღდგენა. როდესაც სისხლის სამართალი მიმართულია დამნაშავეს დასჯისაკენ, დელიქტური სამართლის ძირითად მიზანს წარმოადგენს არა ზიანის მიმყენებელი პირის დასჯა, რაც თავისთავად ერთ-ერთ მიზნად რჩება, არამედ დაზარალებული პირის უფლებების და მისი დანაკლისის (იქნება ეს ქონებრივი, თუ არაქონებრივი დანაკლისი) აღდგენა.⁵⁷

დელიქტი ეს არის პირის „არასწორი“ ქმედება, რომელიც არ არის თანხვედრაში სამოქალაქო კანონმდებლობასთან, შესაბამისად, მისი ქმედება უნდა შეიცავდეს ცივილისტური უსწორობის ნიშნებს (civil wrong).⁵⁸

რომაულ სამართალში შესაბამისი ტერმინოლოგიური განსხვავება იყო დელიქტსა (delictum) და დანაშაულს (crimen) შორის. ტერმინი delictum, მიესადაგებოდა შემთხვევებს, როდესაც საქმე გვქონდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანის და ქონების დაზიანება, ან ღირსებისა და რეპუტაციის შელახვა. მეორე მხრივ, სიტყვა crimen, მიესადაგებოდა ისეთ არასწორ გადაცდომებს, რომლებიც მიმართული იყო, თავად სახელმწიფოს/ქვეყნის წინააღმდეგ.⁵⁹

მიიჩნევა, რომ დელიქტური სამართლის წარმოშობა მანიუს აკვილიუსის კანონის მიღებასთან - lex aquilia არის დაკავშირებული. ამ კანონით დარეგულირებული იყო ისეთი საკითხები, როგორც ქონების განადგურებით და სიცოცხლის ხელყოფით გამოწვეული ზიანია.⁶⁰

ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე მიჰყვებოდა რა გაიუსის დელიქტების კლასიფიკაციის პრინციპს, ყოფდა მათ ოთხ კატეგორიად: ქურდობა (furtum), ყაჩაღობა (rapina), სხვისი საკუთრების არამართლზომიერი დაზიანება (damnum iniuria datum) და შეურაცხყოფა (iniuria).⁶¹

⁵⁶ *ცერცვაძე გ.*, სახელმწიფო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2014, 67-68;

⁵⁷ *Elliott C. and Quinn F.*, Tort Law, seventh edition, Pearson Education Limited, Harlow, 2009, 2;

⁵⁸ *McBride N. J. and Bagshaw R.*, Tort Law, 6th editon, Pearson Education Limited, Harlow, 2018, 7;

⁵⁹ *Mousourakis G.*, Roman Law and the Origins of the Civil Law Tradition, Springer, Cham, 2015., 143;

⁶⁰ *ცერცვაძე გ.*, სახელმწიფო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2014, 68;

⁶¹ *Mousourakis G.*, Roman Law and the Origins of the Civil Law Tradition, Springer, Cham, 2015., 144-146.

მიუხედავად სისხლის სამართლისა და დელიქტური სამართლის გამიჯვნისა, დელიქტსა და დანაშაულს შორის კვლავ მჭიდრო კავშირი რჩება. სისხლის სამართალი მოიცავს ისეთ დანაშაულებს, როგორცაა მკვლელობა, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, გაუპატიურება, ყაჩაღობა, თავდასხმა, ქონების დაზიანება და სხვა. ასეთი ქმედების დროს გათვალისწინებულია დამზარალებელის დელიქტური სამართლით პასუხისმგებლობა. შესაბამისად, სისხლის სამართალი ეხმარება დელიქტურ სამართალს პირთა უფლებებისა და სამართლებრივი სიკეთეების დაცვაში. შესაბამისად, ხშირად, როდესაც პირი ჩადის დელიქტს, იგი აგრეთვე ჩადის დანაშაულსაც.⁶²

როგორც უკვე ვახსენე, სიტყვა დელიქტს აქვს ლათინური ფესვები (*delictum*), რომელიც ნიშნავს გადაცდომას, შეცდომას, მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. ტერმინი დელიქტი მეტად გავრცელებულია კონტინენტური ევროპის ქვეყნებისათვის. აღნიშნული სიტყვის სინონიმად ანგლო-ამერიკულ სამართალში ხმარობენ ტერმინს - *Tort*, რომელიც თავის მხრივ თავადაც ლათინური სიტყვიდან (*tortus*) მომდინარეობს, რაც გადახრას, არასწორს, ბუნდოვანს ნიშნავს, შესაბამისად, ვინმესათვის ზიანის მიყენება ნორმისაგან გადახრად მოიაზრება. ივარაუდება, რომ ინგლისურ ტერმინოლოგიაში ეს სიტყვა ნორმანდიელმა იურისტებმა შეიტანეს ფრანგული ენიდან.⁶³

სამწუხაროდ, ქართული სამართალი და კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა დელიქტის სამართლებრივ დეფინიციას. სსკ-ის 992-ე მუხლი ზოგადად აყალიბებს ზიანის მიმყენებელი პირის პასუხისმგებლობას დაზარალებულის მიმართ, რომელიც გამოწვეულია ნებისმიერი ქმედებით, და არ ანიჭებს მნიშვნელობას, იქნება ეს განზრახი თუ გაუფრთხილებელი ქმედება. გერმანული სამართლის მიხედვით, რომელსაც ქართული სამოქალაქო სამართალი მიჰყვება, აწესებს, რომ დელიქტური მოთხოვნები აუცილებლად გამომდინარეობს დაზარალებულის უფლებებისა ან სამართლებრივი სიკეთის უკანონო დარღვევიდან. აღნიშნული ეხება ისეთ ურთიერთობებს, რომლების მდგომარეობს გარიგებიდან წარმოშობილი ურთიერთობების მიღმა.⁶⁴

⁶² *McBride N. J. and Bagshaw R.*, Tort Law, 6th editon, Pearson Education Limited, Harlow, 2018, 29;

⁶³ *Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К.*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 32-36;

⁶⁴ *კროპკოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბილისი, 2014, §823, 623, ველი 1.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ჩამოთვლის იმ სამართლებრივ სიკეთეებს, რომლის დაცვასაც მიიჩნევს სსკ-ის 992 მუხლის მიზნად. აღნიშნულისაგან განსხვავებით, გერმანული სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ ჩამოთვლის სამართლებრივ სიკეთეებს, რომლებზეც ავრცელებს ზიანის ანაზღაურების შესახებ მუხლს.⁶⁵ აღნიშნული მუხლი ჩამოთვლის ისეთ სამართლებრივ სიკეთეებს, როგორცაა პირის სიცოცხლე, სხეული, ჯანმრთელობა, თავისუფლება, საკუთრების უფლება და რაც მეტად მნიშვნელოვანია ნებისმიერი სხვა უფლება. აქვე მნიშვნელოვანია, რომ კომისია, რომელიც მუშაობდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსზე აღნიშნული მუხლის საწყის წერტილად იღებდნენ სწორედ სსკ-ის 992-ე მუხლის მსგავს ჩანაწერს, რომელიც შემდეგნაირად ჟღერდა: „პირმა, რომელმაც სხვას განზრახ ან გაუფრთხილებლობით მიაყენა ზიანი (schaden) უკანონო (widerrechtlich) მოქმედებით ან უმოქმედობით, უნდა აუნაზღაუროს დაზარალებულს დანაკლისი“⁶⁶ კომისიის წევრები თანხმდებოდნენ დანაწესის ასეთ ფართო მიდგომაზე, თუმცა, როგორც საბოლოოდ გამოჩნდა, სწორედ ამ კომისიის მიერ, რომელიც ასე ცალსახად ეთანხმებოდა ნორმის ფართო ინტერპრეტაციას, იქნა შემუშავებული მუხლი ისეთი სახით, რომელიც დღეს მოქმედებს გერმანიაში.

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით,⁶⁷ გერმანელმა კანონმდებელმა აღნიშნული სიტყვებით (სხვა უფლება) გარკვეულწილად მისცა სასამართლოს უფლება თავად განესაზღვრა, თუ სხვა რომელი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის დროს იქნებოდა შესაძლებელი აღნიშნული მუხლის გამოყენება. სწორედ ეს მიმაჩნია მიზეზად, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემუშავებისას, რომელიც გერმანელი იურისტების დახმარებით ხორციელდებოდა, არ გაიწერა ის სამართლებრივი სიკეთეები, რომლებზეც უნდა გავრცელებულიყო დელიქტური სამართალი, ვინაიდან თავად გერმანული კანონმდებლობაც, მიუხედავად სამართლებრივი სიკეთეების ჩამონათვალისა არ აქცევს ამ ნორმას ბოლომდე ჩარჩოში.

⁶⁵ იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მთარგმნელი ჭეჭელაშვილი ზ., თბილისი, 2010, §823. <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf>;

⁶⁶ *Gordley J.*, The rule against recovery in negligence for pure economic loss: an historical accident?, *Pure Economic Loss in Europe*, Bussani M. & Palmer V. (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 38-39;

⁶⁷ *ცერცვაძე გ.*, სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2014, 69.

აქვე მნიშვნელოვანია უცხოურ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება,⁶⁸ რომლის მიხედვითაც, გსკ-ის 823-ე პარაგრაფი არ ვრცელდება ეკონომიკურ ზიანზე და აღნიშნული ზიანის ანაზღაურების მოსათხოვად დაზარალებულმა უნდა გამოიყენოს გსკ-ის 826 პარაგრაფი.⁶⁹ მართალია სუფთა სახის ქონებრივ ზიანთან მიმართებით გსკ-ის 823-ე პარაგრაფი არ გამოიყენება და ასეთ შემთხვევაში გსკ-ის 826-ე პარაგრაფით უნდა ვიხელმძღვანელოთ, ეს უკანასკნელი მაინც უფრო ვიწროა და გამოიყენება, მხოლოდ განზრახ მიყენებული ზიანის ანაზღაურების დროს, მაშინ როდესაც გსკ-ის 823-ე პარაგრაფი გამოიყენება ორივე შემთხვევაში, როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანის დროს. თუმცა მეორე მხრივ იგი შემოიფარგლება იმ დათქმით, რომ გსკ-ის 823-ე პარაგრაფი ვრცელდება, მხოლოდ აბსოლუტურ სამართლებრივ სიკეთეებზე, როგორცაა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ქონება და ა.შ.⁷⁰ გერმანელი კანონმდებლის მიზანს წარმოადგენდა გენერალურ დელიქტურ დათქმაზე უარის თქმა. ამის სავარაუდო მიზეზად გვევლინება გერმანელი კანონმდებლის ნეგატიური დამოკიდებულება სუფთა ქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით,⁷¹ რაზეც მოგვიანებით უფრო დეტალურად გვექნება მსჯელობა.

შესაბამისად, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 992-ე მუხლს სახელად „ცნება“-ს არქმევს, თავად ეს მუხლი, მაინც არ იძლევა დელიქტის სრულ და ლეგალურ დეფინიციას, ამიტომ მის გასაგებად გვჭირდება გერმანული სამართლიდან შესაბამისი ნორმების მიმოხილვა. სსკ-ის 992-ე მუხლი განმარტავს დელიქტურ ვალდებულებას, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით არის პირის მიერ დაზარალებულისათვის სამართლის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.⁷²

⁶⁸ *Gordley J.*, The rule against recovery in negligence for pure economic loss: an historical accident?, *Pure Economic Loss in Europe*, Bussani M. & Palmer V. (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 38-39;

⁶⁹ *Van Boom W. H.*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, *Pure Economic Loss*, Van Boom W.H., Koziol H. & Witting C. A. (eds.), Springer, Vienna/New York:, 2004, 9;

⁷⁰ *Markesinis B. S., Unberath H.*, The German Law of Torts: A Comparative Treatise, 4th edition, Hart Publishing, Oxford and Portland, 2002, 43;

⁷¹ *Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К.*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 75;

⁷² *ჩიტომვილი თ.*, დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნალი მართლმსაჯულება, გამოცემა N1, თბილისი, 2008, 49.

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად,⁷³ დელიქტები შეიძლება დაიყოს ქმედების შემადგენლობაში ნების არსებობის მიხედვით. აღნიშნული ნიშნით შეიძლება გამოიყოს სამი სახის დელიქტი: 1. მიზანმიმართული (განზრახი) დელიქტი. 2. გაუფრთხილებლობით გამოწვეული დელიქტები. 3. მკაცრი (აბსოლუტური) პასუხისმგებლობის დელიქტები. მიზანმიმართულ დელიქტებს განეკუთვნება, მაგალითად უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა). ქმედება, რომელსაც ზიანის მიმყენებელი მხოლოდ იმიტომ ახორციელებს, რომ სხვა პირს მიადგეს ზიანი. მართალია ქართული კანონმდებლობა გერმანულისაგან განსხვავებით არ შეიცავს სპეციალურ ნორმას, რომელიც არეგულირებს უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში პირის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, თუმცა აღნიშნულ შემთხვევებზე ვრცელდება დელიქტური სამართალი და კერძოდ სსკ-ის 992-ე მუხლი.⁷⁴

2. დელიქტური გენერალური დათქმა და მისი ელემენტები

წინამორბედ ქვეთავში ფართოდ განვიხილეთ დელიქტის ცნება და ვიმსჯელებთ, თუ რამდენად არის შესაძლებელი მისი გავრცელება ამა თუ იმ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისას. ახლა მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ის საკითხი, თუ რას ნიშნავს დელიქტური გენერალური დათქმა, გენერალური დელიქტი და რა ელემენტები უნდა ახასიათებდეს მას, რომ მოხდეს პასუხისმგებლობის დაკისრება და შესაბამისად ზიანის ანაზღაურება.

როგორც უკვე ითქვა დელიქტი ჯერ კიდევ რომაული სამართლით იყო გათვალისწინებული, რომელიც არ იცნობდა გენერალური დელიქტის მსგავს შინაარსს და მოიცავდა დელიქტის ცალკეულ სახეებს, რაც ხშირად იწვევდა იმ ფაქტს, რომ გარკვეული ურთიერთობები რომაული სამართლით გაუთვალისწინებელი და დაუცველი რჩებოდა.⁷⁵

ზოგადი სახით გენერალური დელიქტი გულისხმობს პირის პასუხისმგებლობას მის მიერ გამოწვეული პირდაპირი ზიანისათვის. სწორედ

⁷³ *Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К., Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 36;*

⁷⁴ *ჩაჩავა ს.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, Gccc.ge, 24/12/2017, მუხლი 115, ველი 13;

⁷⁵ *Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К., Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 305.*

გენერალური დელიქტური დათქმიდან გამომდინარეობს საფუძველი, რის მიხედვითაც დაზარალებულ პირს შეუძლია ზიანის მიმყენებლისაგან მოითხოვოს მიყენებული დანაკლისის ანაზღაურება.

გენერალური დელიქტის ნათლად აღსაქმელად საკმარისია მისი იდეალური მაგალითის, ფრანგული სამართლით განსაზღვრული გენერალური დელიქტური დათქმის, ნახვა,⁷⁶ იგი ჩამოყალიბებულია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლში, რომელიც ჯერ კიდევ ნაპოლეონის დროიდან - კოდექსის მიღებიდან (1804 წ.) აყალიბებს გენერალურ დელიქტურ დათქმას.⁷⁷ აღნიშნული მუხლი ნათლად წარმოაჩენს გენერალური დელიქტის ყველაზე ზოგად სახეს. ფრანგული სამართლის მიხედვით, ყოველი პირი არის პასუხისმგებელი მის მიერ ნებისმიერი სახის ქმედებით გამოწვეულ ზიანზე, რაც გამოიხატება მისი ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობაში. ფრანგული გენერალური დელიქტური დათქმა მიყვება პრინციპს „neminem laedere“-ს (ლათინურად - ნუ ავნებ სხვას) და შესაბამისად იგი არ გამორიცხავს რაიმე სახის ზიანის, მათ შორის, სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას.⁷⁸

დღესდღეობით ფრანგული დელიქტური სამართალი სრულად არის ორიენტირებული დაზარალებულის დაცვაზე. აღნიშნული მიდგომის ფესვები უკავშირდება ნაპოლეონის მმართველობის პერიოდს. აღნიშნული მიდგომის თანახმად მოქალაქეები იმსახურებდნენ დაცვას უფრო მეტად ძლიერი მხარისაგან. ამის გარდა ფრანგული სამართლის მსგავს მიდგომაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა და კვლავაც ახდენენ ფილოსოფია, რელიგია⁷⁹ და ფრანგული რევოლუციის იდეა (თავისუფლება, თანასწორობა ძმობა).⁸⁰ მსგავსი მიდგომა აქვს არა მხოლოდ კონტინენტური ევროპის სახელმწიფოებს, არამედ კორეასაც კი, რომლის დელიქტური სამართალი ფრანგულის მსგავსად გამოირჩევა ჩარჩოების არ არსებობით და იგი

⁷⁶ *Dam, C. V.*, European tort law, 2nd edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 56;

⁷⁷ *ib.* French Civil Code, transl. Rouhette G. & Rouhette-Breton A., Paris, 2006, Art. 1383. www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070721&dateTexte=20130701 (09/06/2019);

⁷⁸ *Bussani M. & Palmer V.*, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe, Bussani M. & Palmer V. (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 126;

⁷⁹ *Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К.*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 354;

⁸⁰ *Dam C. V.*, European tort law, 2nd edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 51.

ყოველმხრივია.⁸¹ 200 წელზე მეტი ხნის შემდგომაც კი ფრანგული სამოქალაქო კოდექსის 1382-1386 არტიკლები კვლავაც ინარჩუნებენ მნიშვნელოვან როლს, მათში ასახული გენერალური დათქმა ყოველმხრივია და მოსამართლეს უტოვებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინტერპრეტაციის საშუალებას.⁸² მოგვიანებით სწორედ ფრანგული სამოქალაქო კოდექსის ზეგავლენით შეიქმნა ბელგიური სამოქალაქო კოდექსი, რომელიც იყენებს დელიქტური ზიანის მიმართ გენერალურ მიდგომას და მათ შორის ფრანგულის მსგავსად ანაზღაურებს სუფთა სახის ქონებრივ ზიანსაც.⁸³

ფრანგული სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული მუხლისაგან რადიკალურად განსხვავებულია გერმანული სამართლის მიერ ჩამოყალიბებული დანაწესი. გსკ-ის 823 პარაგრაფი კონკრეტულად ჩამოთვლის იმ სამართლებრივ სიკეთეებს, რომლებიც დაცულია აღნიშნული ნორმით.⁸⁴ ეს შეიძლება იყოს პირის სიცოცხლე, სხეული, ქონებრივი უფლება და სხვა. ნებისმიერ შემთხვევაში გერმანული სამართლის ეს ნორმა განსაზღვრავს იმ აბსოლუტურ სიკეთეებს, რომელთა დაცვასაც იგი მიიჩნევს მიზანშეწონილად.⁸⁵

აღსანიშნავია, რომ დელიქტური გენერალური დათქმა მეტად დამახასიათებელია ევროპული - კონტინენტური სამართლისათვის, მაშინ როდესაც ანგლო-ამერიკული სამართალი არ გამოიყენებს გენერალური დელიქტის პრინციპს. ანგლო-ამერიკული სამართლისთვის, როგორც პრეცედენტებზე დამყარებული სამართლისთვის მეტად დამახასიათებელია ცალკეული კერძო დელიქტური დათქმები, რომლებიც დროთა განმავლობაში პრეცედენტებისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე ჩამოყალიბდა.⁸⁶

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი აყალიბებს დელიქტური პასუხისმგებლობის წარმოშობის უზოგადეს წესს, რომლის მიხედვითაც, იმისათვის, რომ პირს მოუწიოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ამისათვის

⁸¹ იხ. *Kwon Y.*, Pure Economic Loss: A Korean Perspective, *Journal of Korean Law*, vol. 10, no. 2, 2011, 225-226;

⁸² *Dam C. V.*, *European tort law*, 2nd edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 52;

⁸³ *Bussani M. & Palmer V.*, *The liability regimes of Europe – their façades and interiors*, *Pure Economic Loss in Europe*, Bussani M. & Palmer V. (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 131;

⁸⁴ იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მთარგმნელი ჭეჭელაშვილი ზ., თბილისი, 2010, §823. <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf> (09/06/2019);

⁸⁵ *Banakas E. K.*, *Public Authority Liability for Pure Economic Loss: A Comparative Study of English, German and French Law*, *Hellenic Review of International Law*, 45, 1992, 48-49;

⁸⁶ *Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К.*, *Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие*, Юстицинформ, Москва, 2017, 74.

სახეზე უნდა გვქონდეს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები,⁸⁷ შესაბამისად, უნდა არსებობდეს ზიანი, რომელიც გამოწვეულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებით და ამ ქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. შესაბამისად, სახეზე უნდა გვქონდეს 5 ელემენტი: ზიანი, ქმედება, მართლწინააღმდეგობა, მიზეზობრივი კავშირი და ბრალი. არსებობს იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებული ასევე სხვა მოსაზრება,⁸⁸ როდესაც 5 ელემენტის მაგივრად გამოიყენება გერმანული სამართლის მსგავსად 4 ელემენტი.⁸⁹ იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად ქმედებას ცალკე ელემენტად არ გამოყოფენ და მას აერთიანებენ მართლწინააღმდეგობასთან ერთად. თუმცა, საბოლოო ჯამში, იქნება ეს 5 თუ 4 ელემენტი, ორივე დაყოფა სრულად გადმოსცემს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობებს. რაოდენობის მიუხედავად, სწორედ ამ ელემენტების ერთობლიობა ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ პირს წარმოეშვას დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (გენერალური დელიქტი).⁹⁰ ასე მაგალითად ფრანგული სამართლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დასაკისრებლად შემოწმებას ექვემდებარება 3 ელემენტი. ეს ელემენტები: 1. ბრალი, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს, როგორც მოქმედებაში ისე უმოქმედობაში. 2. ზიანი და 3. მიზეზობრივი კავშირი.⁹¹

განვიხილოთ თითოეული ელემენტი, როგორც ქართული, ასევე უცხოური სამართლის მიხედვით.

⁸⁷ *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, მუხ. 992, 381-382;

⁸⁸ იხ. *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, მუხ. 394, 364-371; *ჩიტოშვილი თ.*, დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნალი მართლმსაჯულება, გამოცემა N1, თბილისი, 2008, 58-59. ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე № ას-1322-2018, 2019 წლის 4 აპრილი და საქმეზე № ას-1215-2018, 2019 წლის 29 მარტი;

⁸⁹ *Dam C. V.* European tort law, 2nd edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 227 და *Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К.*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 307;

⁹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1426-2018;

⁹¹ *Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К.* Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 355.

2.1. ზიანი

იგი წარმოადგენს პირველ ელემენტს, რომლითაც ვიწყებთ არასახელშეკრულებო და თუნდაც სახელშეკრულებო ზიანის შემოწმებას. თუ არ არსებობს ზიანის ელემენტი, სხვა ელემენტების შემოწმებაც აზრს კარგავს.⁹² ასე მაგალითისთვის, თუ ჩვენ ვხედავთ, რომ ნასვამი მძღოლი ატარებს მანქანას ყველანაირი უსაფრთხოების ნორმების დარღვევით და საფრთხეს უქმნის ქვეითს, ამ უკანასკნელს მაინც არ ექნება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ვინაიდან რაც არ უნდა „ცუდად“ მოქმედებდეს ნასვამი მძღოლი, ზიანი, როგორც ასეთი სახეზე მაინც არ არის.⁹³ თუ არ არის ზიანი, ვერ იქნება ვერც დელიქტური პასუხისმგებლობა. ძირითად დელიქტურ საქმეებში ეს პრობლემას არ წარმოადგენს, ვინაიდან ზიანის ფაქტი თვალსაჩინოა ხოლმე (სხეულის დაზიანება, ქონების დაზიანება, ეკონომიკური დანაკლისი), თუმცა, ხშირად მაინც რჩება ისეთი საკითხები, როდესაც ზიანის ფაქტის დადგენა შეუძლებელია. მაგალითისთვის საინტერესოა ზიანთან დაკავშირებული საკითხი, როდესაც ნივთი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. ავსტრიული სამართლის მიხედვით, ნივთს, რომელსაც ამზადებენ არ შეიძლება რომ მიადგეს რაიმე ზიანი, ვინაიდან ეს ნივთი როგორც ასეთი არც კი არსებობს.⁹⁴ ზიანის განმარტება და მისი სახეები, ნაშრომის დასაწყისში უკვე მნიშვნელოვნად განვიხილეთ, ამიტომ შეგვიძლია პირდაპირ მე-2 ელემენტზე - „ქმედებაზე“ მსჯელობა დავიწყოთ.

2.2. ქმედება

სამართლებრივი გაგებით, ქმედება არ გულისხმობს მხოლოდ აქტიური მოქმედებით სხვისთვის ზიანის მიყენებას, შესაბამისად, იგი აგრეთვე მოიაზრებს უმოქმედობითაც აღნიშნული ზიანის მიყენებას.⁹⁵ ზიანის მიმყენებელს დაეკისრება სამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაშიც, თუკი მან არ იმოქმედა, ხოლო მოქმედება კი გამორიცხავდა

⁹² *Dam C. V.*, European tort law, 2nd edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 347;

⁹³ *McBride N. J. & Bagshaw R.*, Tort Law, 6th editon, Pearson Education Limited, Harlow, 2018, 102-103;

⁹⁴ იხ. ავსტრიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება - OGH 24.11.1998 1 Ob 184/98k, ხელმისაწვდომია

<https://www.ris.bka.gv.at/Dokument.wxe?Abfrage=Justiz&Dokumentnummer=JIT>;

⁹⁵ *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, მუხ. 992, 380.

ზიანის დადგომას სრულად ან შეამცირებდა დანაკლისის ოდენობას.⁹⁶ შესაბამისად, კანონმდებლობა არ მოითხოვს, რომ ზიანის დადგომისას სახეზე აუცილებლად იყოს პირის აქტიური მოქმედება, არამედ შესაძლებელია იგი აგრეთვე უმოქმედობითაც იყოს გამოწვეული.

ფრანგული სამართლისაგან განსხვავებით, გერმანული და შესაბამისად ქართული სამართალი განასხვავებს ბრალისა (Verschulden) და მართლწინააღმდეგობის (Rechtswidrigkeit) ცნებებს.⁹⁷ შემდეგი ელემენტები, რომლებიც ზიანის მიმყენებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობას წარმოადგენენ არის სწორედ - მართლწინააღმდეგობა და ბრალი.

2.3. მართლწინააღმდეგობა

აღნიშნული ელემენტი გულისხმობს, რომ პირის ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს დადგენილ კანონებსა და ნორმებს. როგორც უზენაესი სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, მართლწინააღმდეგობის ელემენტი წარმოადგენს გენერალური დელიქტის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას. თუკი ზიანის მიმყენებლის ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო, მაშინ დანარჩენ ეტაპებზე გადასვლას და შემოწმებას სასამართლო ფუჭად დროის ხარჯვად მიიჩნევს. სასამართლო გადაწყვეტილებებში გამოყოფს 3 შემთხვევას, როდესაც პირის ქმედება შეიძლება ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ. 1) თუ პირის ქმედება არღვევს რომელიმე კანონისმიერ ამკრძალავ ნორმას. 2) თუ ქმედებით ირღვევა სხვა ვალდებულებები, მათ შორის - გარიგებიდან წარმოშობილი. 3) თუ პირის ქმედებით ირღვევა დაცული სამართლებრივი სიკეთეები და პირის უფლებები, ისეთები როგორცაა: სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება და პირადი უფლებები.⁹⁸

მართლწინააღმდეგობის დადგენა ხშირად საკმაოდ მარტივია, რადგან პირის ქმედება პირდაპირ ეწინააღმდეგება დადგენილ ნორმებსა თუ წესებს. თუმცა ხშირად ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც კონკრეტული ამკრძალავი ნორმა არ არსებობს, ან უფრო მეტიც, რამდენიმე საკანონმდებლო აქტი

⁹⁶ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2006, 98;

⁹⁷ Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К., Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 325;

⁹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე № ას-548-511-2017, 2017 წლის 31 ივლისი და საქმეზე № ას-332-317-2016, 2016 წლის 9 დეკემბერი.

წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან.⁹⁹ შესაბამისად, მართლწინააღმდეგობის ელემენტი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს სასამართლოს მიერ.

სავსებით ლოგიკურია, რომ მართლწომიერი ქმედებისათვის პირს არ უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, თუმცა აქვე მნიშვნელოვანია სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის ელემენტის გამიჯვნა. სისხლისსამართლებრივად პირის ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს მართლწინააღმდეგოდ, თუ იგი მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, შესაბამისად მისთვის სასჯელის დაკისრება შეუძლებელია. კერძო სამართალი კი, იცავს ბალანსს იმ პირების ინტერესებს შორის, ვინც მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში და მეორე მხრივ, ვისი ინტერესებიც შეილახა. შესაბამისად, სამართლიანია, რომ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ავტომატურად არ ახდენს ზეგავლენას მის სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, რადგან მის მიერ გამოწვეულია ზიანი, მართალია უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, მაგრამ იმ პირის მიმართ, ვისაც ეს საფრთხე არ შეუქმნია.¹⁰⁰ აქვე აღსანიშნავია, რომ გერმანული სამართლის მიხედვით, პირის მიერ ზიანის მიყენება მესამე პირების მიმართ შეიძლება გამართლდეს, თუ ეს ზიანი გამოწვეულია უკიდურესი აუცილებლობის ან აუცილებელი მოგერიების ფარგლებში და სამართლებრივი სიკეთე მართალია გამიზნულად, თუმცა მცირე დროით და უმნიშვნელოდ დაირღვა.¹⁰¹

2.4. ბრალი

ბრალი, რომელიც მე-4 ელემენტად გვევლინება, ატარებს სუბიექტურ ხასიათს. ბრალი წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობისათვის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს. სისხლის სამართლის მსგავსად, დელიქტური სამართალიც მოითხოვს ქმედების მართლწინააღმდეგო და ბრალეული ხასიათის არსებობას, თუმცა, ამ ორ სამართალს შორის მაინც არსებობს არსებითი განსხვავება ბრალთან მიმართებაში. თუ სისხლის სამართალი მოითხოვს მოტივის და მიზნობრიობის არსებობას, დელიქტური სამართლის

⁹⁹ *Kwon Y.*, Pure Economic Loss: A Korean Perspective, *Journal of Korean Law*, vol. 10, no. 2, 2011, 223-224;

¹⁰⁰ *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, მუხ. 992, 382-383;

¹⁰¹ *კროკოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბილისი, 2014, §823, 641, ველი 29.

შემთხვევაში მოტივი სახეზე არ გვაქვს.¹⁰² სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, ქმედება შეიძლება ჩადენილი იყოს, განზრახ ან გაუფრთხილებლობით.¹⁰³ სამწუხაროდ ქართული სამოქალაქო სამართალი არ იძლევა ბრალის ამ ორი ფორმის განმარტებას, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლებით, რომლებიც შესაბამისად საუბრობენ განზრახვასა და გაუფრთხილებლობაზე.¹⁰⁴ მსგავსი მიდგომით ხასიათდება გერმანული სამართალიც, ისევე როგორც ქართული სამართალი, გერმანული სამართალი განზრახვას ჰყოფს ორ ჯგუფად, პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვა.¹⁰⁵

ბრალი დელიქტური პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი ელემენტია, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს განზრახვით ან გაუფრთხილებლობით. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მიდგომა, რომლის მიხედვითაც დელიქტები იყოფა ორ ჯგუფად. 1. რომელიც მოითხოვს ბრალის ელემენტის არსებობას და 2. დელიქტები, როდესაც ბრალის ელემენტი და მისი არსებობა მნიშვნელოვანი არ არის - მკაცრი პასუხისმგებლობის დელიქტები (tort of strict liability).¹⁰⁶

ფრანგული სამართლის მიხედვით ბრალეულობის ელემენტის შემოწმება, რომელიც გაერთიანებულია მარლწინააღმდეგობის ელემენტთან ერთად, ხდება იმ კუთხით, თუ რამდენად შეესაბამება პირის ქცევა გონიერი ადამიანის ქცევის ნორმებს. ან რამდენად ეწინააღმდეგება მისი ქცევა *bonus pater familias* - გონიერი ოჯახის უფროსის ქცევას. მსგავსი კრიტერიუმით აფასებს ინგლისური სამართალიც პირის ბრალეულობას, ინგლისური სამართალი მოქმედებს იმ მარტივი პრინციპის მიხედვით, თუ როგორ მოიქცეოდა სხვა კეთილშობილი, პატიოსანი და გონიერი ადამიანი მსგავს სიტუაციაში (reasonable man test). ბრალი საკმაოდ სუბიექტური ცნებაა და შესაბამისად

¹⁰² *Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К., Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 49;*

¹⁰³ *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, მუხ. 992, 386-387;

¹⁰⁴ *ტურავა მ.*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მე-8 გამოცემა, ბონა კაუზა, თბილისი, 2010, 124-126;

¹⁰⁵ *Markesinis, B. S., & Unberath, H., The German Law of Torts: A Comparative Treatise, 4th edition, Hart Publishing, Oxford and Portland, 2002, 83-84;*

¹⁰⁶ *Elliott C. and Quinn F., Tort Law, seventh edition, Pearson Education Limited, Harlow, 2009, 4.*

სასამართლოს ეძლევა ფართო უფლებამოსილება თავად შეაფასოს მისი არსებობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.¹⁰⁷

განზრახვა საკმაოდ ფართო ცნებაა და დამოკიდებულია კონტექსტზე, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში იგი გულისხმობს პირის ნებელობისა და ცოდნის ხარისხს, თუ რა ქმედებას ჩადის. რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, იგი გულისხმობს, რომ პირს არ სურს, რომ მის ქმედებას შედეგად მოჰყვეს ზიანი და ეს დანაკლისი მხოლოდ მისი უყურადღებობით ან დაუდევრობით არის გამოწვეული.¹⁰⁸

აღსანიშნავია, რომ ინგლისურ დელიქტურ სამართალში ყველაზე მეტად გავრცელებულია გაუფრთხილებლობით გამოწვეული დელიქტი (tort of negligence). გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანისას პირს პასუხისმგებლობა ეკისრება გულისხმიერების ვალდებულების (duty of care) დარღვევის გამო.¹⁰⁹ თუმცა, ეს ყოველთვის ასე არ ყოფილა და თავდაპირველად ინგლისური დელიქტური სამართალი ითვალისწინებდა პირის პასუხისმგებლობას მხოლოდ განზრახ მიყენებული ზიანისათვის და გამორიცხავდა გაუფრთხილებლობით გამოწვეული დელიქტისათვის პასუხისმგებლობას.¹¹⁰ გულისხმიერების პრინციპი აქტიურად არის განსაზღვრული ქართული კანონმდებლობითაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლი სხვა არაფერია თუ არა პირისათვის სხვის მიმართ კეთილსინდისიერად და გულისხმიერად მოქცევის ვალდებულების დაკისრება.¹¹¹

დელიქტური მოთხოვნის წარმოშობისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, თუ რამდენად იყო პირი თავად ამა თუ იმ შედეგის გამომწვევი. გავრცელებული მოსაზრებით, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ წარმოეშობა იმ პირს, რომელსაც გაცნობიერებული ჰქონდა მოსალოდნელი რისკი და თავად ჩაიგდო საფრთხეში თავი,

¹⁰⁷ *Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К., Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 355-356;*

¹⁰⁸ *Elliott C. and Quinn F., Tort Law, seventh edition, Pearson Education Limited, Harlow, 2009, 4-5;*

¹⁰⁹ *ბათლიძე გ.,* ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, თბილისი, 2015, 19;

¹¹⁰ *Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К., Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Москва, 2017, 203;*

¹¹¹ *ვაშაკიძე გ.,* სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, Gccc.ge, 26/10/2016, მუხლი 316, ველი 7.

მიუხედავად ამ რისკისა.¹¹² აღსანიშნავია, რომ ქართული სამოქალაქო სამართალი, ისევე როგორც გერმანული, ითვალისწინებს პირის მიერ, როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.¹¹³

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება,¹¹⁴ რომლის მიხედვითაც, ბრალეული დელიქტური პასუხისმგებლობა მეტად დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებისათვის, მაშინ როდესაც ანგლო-ამერიკულ სამართალს მეტად ახასიათებს არაბრალეული დელიქტური პასუხისმგებლობა.

ბრალის ელემენტის განხილვისას აუცილებელია შევხვთ პირის „სამოქალაქოსამართლებრივ ბრალუნარიანობას“ ანუ - დელიქტუნარიანობას. ქართული სამართლის მიხედვით პირის დელიქტუნარიანობა წარმოიშობა 10 წლიდან.¹¹⁵ თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კანონმდებლობა ტოვებს დაურეგულირებელ საკითხს, თუ ვის უნდა დაეკისროს 10 წლამდე პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა. არასრულწლოვნის აღნიშნულ ქმედებაზე პასუხისმგებელი არიან მისი მშობლები ან მზრუნველი.¹¹⁶ აღსანიშნავია, რომ გერმანიაში დელიქტუნარიანობა წარმოიშობა 7 წლიდან.¹¹⁷ აღნიშნული წესი მოქმედებს მუდმივად, გარდა, გამონაკლისი შემთხვევებისა, რომლის დროსაც დელიქტუნარიანად პირი ქართული სამართლის მსგავსად 10 წლიდან ითვლება.

¹¹² *Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К., Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 63;*

¹¹³ *კროკპოლერი ი.,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბილისი, 2014, §823, 641, ველი 30;

¹¹⁴ *Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К., Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 50-51;*

¹¹⁵ *ჩიკვაშვილი შ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, მუხ. 992, 393;

¹¹⁶ *გერცვაძე გ.,* სახელმწიფო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2014, 70;

¹¹⁷ *კროკპოლერი ი.,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბილისი, 2014, §828, 651.

2.5. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი

ეს არის ის ბოლო ელემენტი, რომლის არსებობაც აუცილებელია დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომისათვის, კავშირი დამდგარ შედეგსა და ქმედებას შორის. მიზეზობრივი კავშირის პოვნა სულ უფრო რთულდება თანამედროვე მსოფლიოში. ეპოქაში, სადაც ციფრული სამყაროს პირობებში, მარტივად ხდება პირის ქონებრივი, საავტორო თუ სხვა უფლებების დარღვევა, ხოლო მიზეზობრივი კავშირის პოვნა და დამტკიცება კი ციფრული/კომპიუტერული კოდების გამო თითქმის შეუძლებელია. ფრანგული სამართლის მიხედვით, დამდგარ ზიანსა და პირის ქმედებას შორის უნდა არსებობდეს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი.¹¹⁸

თუ პირმა მიზანმიმართული ან გაუფრთხილებელი ქმედებით დაარღვია სამართლის ნორმები, რამაც გამოიწვია ზიანი, ჩნდება კითხვა არსებობს თუ არა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მიზეზობრივი კავშირი დელიქტურ სამართალში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, არც ერთი იურისდიქცია არ აყალიბებს კონკრეტულ მიდგომას ამ საკითხთან მიმართებით. შეუძლებელია ჩამოყალიბდეს ერთიანი შეთანხმებული მიდგომა, რომელიც მოერგება ყველა შემთხვევას, ამიტომ ყოველი კონკრეტული შემთხვევის განხილვა და მიზეზობრივი კავშირის პოვნა ინდივიდუალური მიდგომით უნდა მოხდეს.¹¹⁹

მიზეზობრივი კავშირის პოვნა და მისი შეფასება მხოლოდ ორი ელემენტით ხდება. პირველი, რასაც ვამოწმებთ არის, უსწრებდა თუ არა პირის ქმედება დამდგარ შედეგს, ანუ - ზიანს. ამის დადასტურების შემთხვევაში ვამოწმებთ იმას, გამოიწვია თუ არა სწორედ ამ პირის ამ ქმედებამ ეს შედეგი. აქვე მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ ზიანი იქნება ირიბი ან შემთხვევითი.¹²⁰

სწორედ მიზეზშედეგობრიობა არის ის მექანიზმი, რომელიც არიდებს ევროპულ სახელმწიფოებს დაუსაბუთებელ სამართლებრივ დავებს. ეს საკითხი საკმაოდ აქტუალურია ძირითადი თემისათვის, რადგან სწორედ მიზეზობრივი კავშირის არსებობა არის აუცილებელი იმისათვის, რომ სუფთა სახის ქონებრივი ზიანი ანაზღაურდეს. სწორედ სახელმწიფოს ეკისრება

¹¹⁸ *Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К., Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 65;*

¹¹⁹ *Van Boom, W. H., Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, van Boom W.H., Koziol H. & Witting C. A. (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 307;*

¹²⁰ *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, მუხ. 992, 390.

ვალდებულება დაიცვას ბალანსი მსგავსი დავების დაშვებასა და შეზღუდვას შორის. მისი მსჯელობა კი მიზეზობრივ კავშირზე უნდა იყოს დაფუძნებული. ამ ეტაპზე უნდა მოხდეს შეფასება იმ საკითხის, თუ რამდენად ფართო უნდა იყოს მიდგომა, სუფთა სახის ქონებრივი ზიანის შემთხვევაში, ქმედებასა და შედეგს შორის კავშირის საპოვნელად. შესაძლებელია ერთმა მცირედმა ქმედებამ ირიბად გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგი. პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის პოვნა კი აუცილებელია.¹²¹

მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობას სუფთა სახის ქონებრივ ზიანთან მიმართებით ხაზს უსვამს იურიდიულ ლიტერატურაში განხილული მაგალითი, როდესაც სპორტული კლუბის შემთხვევა, როდესაც საკვანძო მოთამაშე ავტოავარიაში მოყვება, რის გამოც ვერ შეძლებს თამაშს და კლუბი, რომელიც პირველ ადგილზე იმყოფებოდა ჩემპიონატში, მე-4 ადგილზე დაასრულებს ასპარეზს, რაც ამ კლუბის ფასის ვარდნას გამოიწვევს. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს ავარიის გამომწვევი პირის ქმედებასა და შედეგს შორის ცალსახა მიზეზობრივი კავშირის პოვნა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დადგეს სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი.¹²²

შესაბამისად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ქართული და გერმანული გენერალური დელიქტური დათქმა გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისაგან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი აყალიბებს ზიანის ანაზღაურების ზოგად წესს, მაშინ როდესაც გერმანული სამართალი თავს არიდებს და უარს ამბობს გენერალურ დელიქტურ დათქმაზე, რის გამოც, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, გერმანელმა კანონმდებელმა გსკ-ის 823.1 პარაგრაფში სუფთა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებაც კი არ გაითვალისწინა და იგი 826-ე პარაგრაფით მოიცვა.¹²³ ეს გარკვეულწილად გამოწვეულია გერმანელი კანონმდებლის ნეგატიურ დამოკიდებულებით სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, რაც გარკვეულწილად მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის სასამართლო პრაქტიკას გერმანიაში. მეორე მხრივ, ფრანგულ დელიქტურ სამართალში დაიმკვიდრა თავი აბსოლუტური კომპენსაციის პრინციპმა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ანაზღაურდეს ნებისმიერი სახის ზიანი, მათ შორის, მიუღებელი შემოსავალი, სუფთა სახის ქონებრივი ზიანი,

¹²¹ *Van Boom, W. H.*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, Van Boom W. H., Koziol H. & Witting C. A. (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 17-18;

¹²² *Bussani M. & Palmer V.* (eds.), The case studies, Pure Economic Loss in Europe, Cambridge University Press, Cambridge, 2003, 241-254;

¹²³ *Van Boom W. H.*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, van Boom W.H., Koziol H. & Witting C. A., (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 9.

ეკოლოგიისთვის მიყენებული ზიანი და ა.შ. ფრანგული სამართლის აღნიშნულმა ღია და თავისუფალმა მიდგომამ გამოიწვია აურაცხელი რაოდენობით სარჩელების შეტანა სასამართლოში. მხოლოდ 2009 წელს მსგავსი სარჩელების რაოდენობამ 45 ათასს მიაღწია, თუმცა, მიუხედავად მსგავსი თავისუფალი მიდგომისა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ამას არ გამოუწვევია რაიმე პრობლემა ფრანგული სასამართლოებისათვის ან სამართალწარმოებისათვის.¹²⁴

IV. სუფთა სახის ქონებრივი ზიანი

სამწუხაროდ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ან სასამართლო პრაქტიკაში ინფორმაცია სუფთა სახის ქონებრივ ზიანზე თითქმის არ მოიძებნება.¹²⁵ ხშირად ლიტერატურაში pure economic loss-ს ქართულად, როგორც მიუღებელ შემოსავალს თარგმნიან. შესაძლებელია იმაზე მსჯელობა, თუ როგორ უნდა გადაითარგმნოს ქართულად pure economic loss, იქნება ეს სუფთა სახის თუ წმინდა ქონებრივი ზიანი. თუმცა, აღნიშნული ზიანისათვის „მიუღებელი შემოსავლის“ წოდება და შესაბამისად მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა გაუმართლებელია.¹²⁶

ერთი შეხედვით სუფთა სახის ქონებრივი ზიანი (pure economic loss) წარმოადგენს მეტად ტექნიკურ საკითხს და მასზე მსჯელობა მხოლოდ ციფრებით შემოიფარგლება, თუმცა, რეალობაში იგი გვევლინება, როგორც ყველაზე მეტად აქტუალურ და განხილვად საკითხად შედარებითი დელიქტური სამართლისათვის.

უამრავი დანაკლისი შეიძლება ჩაითვალოს ქონებრივ ზიანად, მაგალითად, როდესაც რაიმე ქონება დაიწვა ან განადგურდა მოპასუხის ბრალეული ქმედებით. ან მოსარჩელეს მიადგა ეკონომიკური ზიანი, ვინაიდან მას

¹²⁴ *Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К., Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 350;*

¹²⁵ სუფთა სახის ქონებრივ ზიანზე მსჯელობა ქართულენოვან სამეცნიერო ნაშრომებში იშვიათობას წარმოადგენს, გამონაკლისია სულ რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი. მაგალითისთვის იხ. *რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 249-253;*

¹²⁶ სუფთა სახის ქონებრივი ზიანის დროს სახეზე არ უნდა იყოს, აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფა, ისეთი როგორცაა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ქონება და ა.შ. შდრ. *ცერცვაძე გ., სახელმწიფო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2014, 653.*

დაუზიანდა სხვისი ბრალეული ქმედებით სხეული ან ჯანმრთელობა. ყველა ეს შემთხვევა შეგვიძლია მივაწეროთ ეკონომიკურ/ქონებრივ ზიანს, ვინაიდან დაზარალებულს აღარ აქვს ის ფინანსური მდგომარეობა, რომელიც მას ექნებოდა მისთვის ზიანის მიყენების ფაქტის არარსებობის შემთხვევაში. თუმცა ეკონომიკური ზიანის გარდა სამართალი აგრეთვე იცნობს სუფთა სახის ქონებრივ ზიანს, რომელიც არ არის გამოწვეული დაზარალებულის ქონების ან სხეულის დაზიანებით,¹²⁷ შესაბამისად, მისი აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთის ხელყოფით.¹²⁸

1. სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ცნება და მისი სახეები

სამწუხაროდ ისევე როგორც საქართველოში, მსოფლიოშიც არ არსებობს ერთიანი შეთანხმებული ცნება სუფთა სახის ქონებრივი ზიანისა. ეს არ უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან არ არსებობს ერთიანი, ჩამოყალიბებული მიდგომა ამ სპეციფიკის ზიანთან მიმართებით.¹²⁹ ქვეყნებში სადაც სუფთა სახის ქონებრივი ზიანი უკვე ფართოდ არის გავრცელებული და მათი სამართლისთვის ეს ნაცნობი თემაა, აღნიშნული სახის ზიანს განმარტავენ ე.წ. „უკუდათქმის“ პრინციპით, რომლის მიხედვითაც სუფთა სახის ქონებრივი ზიანად ჩაითვლება, თუ მომჩივანს იგი მიადგა, პირდაპირი ქონებრივი ან პიროვნული/პერსონალური დანაკლისის გარეშე. ამ შემთხვევაში სიტყვა „სუფთა“ (pure), საგრძნობლად მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ვინაიდან თუ მომჩივანისათვის მიმდგარი ზიანი გამოიწვია მისმა ქონებრივმა ან არაქონებრივმა - პერსონალურმა დანაკლისმა, იგი ვერ ჩაითვლება სუფთა სახის ქონებრივ ზიანად.¹³⁰ შესაბამისად, სუფთა სახის ქონებრივი ზიანისას არ უნდა გვექონდეს დაზარალებულის სხეულის ან ქონების დაზიანებიდან წარმოშობილი დანაკლისი.¹³¹

¹²⁷ *Elliott C. and Quinn F.*, Tort Law, seventh edition, Pearson Education Limited, Harlow, 2009, 27;

¹²⁸ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბილისი, 2014, §823, 628, ველი 5;

¹²⁹ *Van Boom W. H.*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, van Boom W.H., Koziol H. & Witting C. A. (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 4;

¹³⁰ *Bussani M. & Palmer V.*, The notion of pure economic loss and its setting, Pure Economic Loss in Europe, Bussani M. & Palmer V. (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 5;

¹³¹ *McBride N. J. & Bagshaw R.*, Tort Law, 6th editon, Pearson Education Limited, Harlow, 2018, 152.

სუფთა სახის ქონებრივ ზიანთან დაკავშირებით არსებობს მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც საინტერესოა, როგორც ქართული, ასევე უცხოური დელიქტური სამართლის გადმოსახედიდან.

1.1. სუფთა სახის ქონებრივი ზიანისა და არაპირდაპირი ქონებრივი ზიანის შედარება

ხშირად სუფთა სახის ქონებრივ ზიანს არასწორად აიგივებენ არაპირდაპირ ქონებრივ ზიანთან (consequential economic loss). ამ უკანასკნელის დროს, სახეზე გვაქვს აღმოფხვრადი ზიანი,¹³² რადგან იგი თავის თავში მოიაზრებს ფიზიკურ - სხეულებრივ ან ქონებრივ დაზიანებას, მაშინ როდესაც სუფთა სახის ქონებრივი ზიანის არსებობისას დანაკლისი ადგება მხოლოდ დაზარალებულის ჯიბეს და მეტს არაფერს. ასეთივე მიდგომა აქვთ სხვადასხვა ქვეყნებს, მაგალითად, შვედეთში კანონმდებელი სუფთა სახის ქონებრივ ზიანს განმარტავს, როგორც ეკონომიკურ დანაკლისს, რომელიც არ არის დაკავშირებული პირის სხეულის ან ქონების დაზიანებასთან.¹³³ სწორედ ერთი მხრივ სხეულის და ნივთის დაზიანებისა და მეორე მხრივ სუფთა ქონებრივი ზიანის გამიჯვნამ გამოიწვია, რომ ცალკეული ქვეყნის სამართლის სისტემებმა არაპირდაპირი ეკონომიკური ზიანის სახელით მოხსენიება დაიწყეს ისეთი დანაკლისის, რომელიც არაპირდაპირ გამოწვეულია პირის სიკვდილით, სხეულის დაზიანებით ან ნივთის განადგურებით.¹³⁴

1.2. სუფთა სახის ქონებრივი ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის შედარება

მნიშვნელოვანია აგრეთვე განვმარტოთ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში და სასამართლო გადაწყვეტილებებში გაიგივებული სუფთა სახის ქონებრივი ზიანი (pure economic loss) და მიუღებელი შემოსავალი.¹³⁵ აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მოყვანილი მაგალითით, როდესაც ძროხას

¹³² აღმოფხვრად ზიანში (რეალური ზიანი) იგულისხმება დანაკლისი, რომლის დროსაც შესაძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, შესაბამისად, ნატურით ანაზღაურების შესაძლებლობა განადგურებული ნივთის ახლით ჩანაცვლება ან ა.შ. დამატებით იხ. *ცერცვაძე გ.*, სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2014, 652;

¹³³ შვედეთის მიდგომასთან დაკავშირებით იხ. *Bussani M. & Palmer V.*, The notion of pure economic loss and its setting, Pure Economic Loss in Europe, Bussani M. & Palmer V. (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 5-6;

¹³⁴ Van Boom W. H., Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, van Boom W.H., Koziol H. & Witting C. A. (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 4;

¹³⁵ შდრ. *ცერცვაძე გ.*, სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2014, 653.

ეჯახება მანქანა და დამზარალებელს უწევს ანაზღაუროს არა მხოლოდ ძროხის ღირებულება, არამედ იმ ხბოების ღირებულებაც, რომლის გაჩენასაც ძროხა 2 თვეში აპირებდა, გარკვეულწილად ცდება სუფთა სახის ქონებრივი ზიანის იდეას, რომლის დროსაც სახეზე უნდა გვქონდეს ისეთი ქონებრივი დანაკლისი, რომელიც არ გამომდინარეობს პირის ქონებრივი ან სხეულებრივი დაზიანებიდან.

სამწუხაროდ საქართველოში არ მოიძებნება უზენაესი სასამართლოს არც ერთი გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლოს ნამსჯელი აქვს სუფთა სახის ქონებრივი ზიანის¹³⁶ ანაზღაურების შესახებ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყველა გადაწყვეტილებაში, სადაც ნახსენებია წმინდა ეკონომიკური დანაკლისი (pure economic loss) საუბარია ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებაზე, რაც თავისთავად არ არის სწორი.

მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყველა გადაწყვეტილებაში საუბრობს სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილ წმინდა ეკონომიკურ დანაკლისზე, შესაბამისად - მიუღებელ შემოსავალზე, მათ მაინც მნიშვნელოვანი საერთო აქვთ დელიქტიდან წარმოშობილ სუფთა სახის ქონებრივ ზიანთან.

სასამართლო გადაწყვეტილებების თანახმად, ისევე როგორც ხელშეკრულების პირობების დარღვევისას გამოწვეული ზიანისას - მიუღებელი შემოსავლის სახით, დელიქტის დროსაც, იგი გულისხმობს სუფთა სახის ქონებრივ დანაკლისს, რომელიც დაზარალებულმა განიცადა და რომელიც მას არ მიადგებოდა, მეორე მხარის კეთილსინდისიერი ქმედების არსებობისას.¹³⁷

უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ იმისათვის რომ სახეზე იყოს მიუღებელი შემოსავალი, მას უნდა ჰქონდეს პირდაპირი და უშუალო კავშირი დამზარალებლის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. არ უნდა არსებობდეს ეჭვის საფუძველიც კი, რომ ეს შედეგი არ დადგებოდა, შესაბამისად დამზარალებლის ქმედებასა და სუფთა ქონებრივ ზიანს შორის

¹³⁶ იგულისხმება სუფთა სახის ქონებრივი ზიანი, რომელიც წარმოშობილია დელიქტიდან და არა მიუღებელ შემოსავალი, რომელიც ხელშეკრულების პირობების დარღვევიდან მომდინარეობს. დამატებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე № ას-910-876-2016, 2016 წლის 30 ნოემბერი, საქმეზე № ას-153-2019, 2019 წლის 8 მაისი და სხვ.;

¹³⁷ *ცერცვაძე გ.*, სახელშეკრულებო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2014, 653-654.

მიუღებელი შემოსავლის სახით, უნდა იყოს პირდაპირი და ექვგარეშე კავშირი.¹³⁸

1.3. სუფთა სახის ქონებრივი ზიანისა და საკუთრების ხელყოფით გამოწვეული ზიანის შედარება

სუფთა სახის ქონებრივ ზიანსა და საკუთრების ხელყოფას შორის გამიჯვნა საკმაოდ პრობლემურია აგრეთვე გერმანული სამართლისათვის, მაშინ როდესაც ხდება არა ნივთის დაზიანება ან განადგურება, შესაბამისად მისი სუბსტანციის ხელყოფა, არამედ ამ ნივთით სარგებლობის ხელშეშლა.¹³⁹

მიუხედავად ცალკეული მოსამართლეების მცდელობისა, გერმანული სამართლის წინასაუკუნოვანი მიდგომა სუფთა სახის ქონებრივი ზიანისადმი არც დღესდღეობით არის შეცვლილი. შესაბამისად, გერმანული სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის მსგავსი მკაცრი მიდგომა უბიძგებს სახელშეკრულებო სამართლის მეტად განვითარებას. როდესაც მხარეები ხედავენ, რომ დაზარალებული მხარის ინტერესები კანონის მიხედვით ნაკლებად რეგულირდება, მათ უწევთ სახელშეკრულებო სამართლის გამოყენება, რაც აისახება ხელშეკრულებების მეშვეობით დაზარალებული მხარის ინტერესების სულ უფრო მეტად დაცვაში. როდესაც სახელმწიფოს მიერ, კანონმდებლობის მეშვეობით რაიმე საკითხი არ რეგულირდება, საზოგადოება თავად იწყებს აღნიშნული ხარვეზების პრაქტიკით გამოსწორებას. გერმანელებმა, დაზარალებული მხარის, სწორედ ხელშეკრულების მეშვეობით დაცვაში იპოვეს გამოსავალი.

1.4. სუფთა სახის ქონებრივი ზიანის სახეები

სამეცნიერო ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით შეიძლება გამოიყოს სუფთა სახის ქონებრივი ზიანის რამდენიმე სახე. დანაკლისი, რომელიც გამოიწვია პირის გარდაცვალებამ, რომლის კმაყოფაზეც იმყოფებოდნენ ოჯახის წევრები. ზიანი, რომელიც მიადგა პირს, სხვა პირის მიერ ელექტროენერჯის სადენის დაზიანებით გამოწვეული ძაბვის მიწოდების გამო. სანაპიროზე არსებული სასტუმროების მიერ შემოსავლის

¹³⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე საქმეზე № ას-459-438-2015;

¹³⁹ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბილისი, 2014, §823, 628.

დაკარგვა, რომელიც გამოიწვია ნავთობის ქაბურღილის მრავალჯერადმა დაზიანებამ.¹⁴⁰ ზიანი, რომელიც მიაღდა კლუბს, რადგან მისი საკვანძო მოთამაშე დაშავდა/გარდაიცვალა ავტოკატასტროფაში.¹⁴¹ დანაკლისი, რომელიც ნახა ინვესტორმა აუდიტორული კომპანიის არასწორი დასკვნის გამო¹⁴² და სხვა მრავალი შემთხვევა.

2. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მიდგომა სუფთა სახის ქონებრივ ზიანთან მიმართებით

აღსანიშნავია, რომ განზრახ მიყენებული სუფთა სახის ქონებრივი ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება, ყველა ქვეყანაში, მათ შორის ევროპულ და ამერიკულ სამართლებრივ სისტემაში.¹⁴³ განსხვავებულია ქვეყნებს შორის მიდგომა გაუფრთხილებლობით გამოწვეული სუფთა სახის ქონებრივ ზიანთან დაკავშირებით.

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სუფთა სახის ქონებრივ ზიანთან მიმართებაში ევროპული სახელმწიფოები მიდგომის მიხედვით იყოფიან 3 ჯგუფად.¹⁴⁴ ეს ჯგუფებია: 1. ლიბერალური მიდგომის ჯგუფი (საფრანგეთი, ბელგია, საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი და სხვა), 2. პრაგმატული მიდგომის ჯგუფი (ინგლისის, შოტლანდია, ნიდერლანდები და სხვა) და 3. კონსერვატიული მიდგომის ჯგუფი (გერმანია, ფინეთი, პორტუგალია, შვედეთი და სხვა).¹⁴⁵ როგორც ხედავთ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მიდგომის კუთხით შეუძლებელია სამართლებრივი სისტემის

¹⁴⁰ *Kwon Y.*, Pure Economic Loss: A Korean Perspective, *Journal of Korean Law*, vol. 10, no. 2, 2011, 214;

¹⁴¹ *Bussani M. & Palmer V. (eds.)*, The case studies, Pure Economic Loss in Europe, Cambridge University Press, Cambridge, 2003, 241;

¹⁴² იხ. კანადის უზენაესი სასამართლოს 1997 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Hercules Managements Ltd. v. Ernst & Young*, [1997] 2 S.C.R. 165, №24882. ხელმისაწვდომია - <https://scc-csc.lexum.com/scc-csc/scc-csc/en/item/1511/index.do>;

¹⁴³ *De Mot J. P. B.*, Pure Economic Loss, *Encyclopedia of Law and Economics*, 2nd edition, Vol. 1, Tort Law and Economics, Michael Faure (ed.), Edward Elgar, Cheltenham/Northampton, 2009, 209;

¹⁴⁴ არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ხდება ქვეყნების არა სამ ჯგუფად, არამედ ოთხ ჯგუფად კლასიფიკაცია, სადაც ავსტრიის, შვეიცარიის და იტალიის სამართლის მიდგომას ფრანგული და გერმანული სამართლის მიდგომების შუალედურ რგოლად გვევლინება. დამატებით იხ. *Van Boom, W. H.*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, *Pure Economic Loss*, van Boom W. H., Koziol H. & Witting C. A. (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 7-16;

¹⁴⁵ *Bussani M. & Palmer V.*, The liability regimes of Europe – their façades and interiors, *Pure Economic Loss in Europe*, Cambridge University Press, Cambridge, 2003, 123-125.

ტრადიციულ ორ ჯგუფად დაყოფა (ანგლო-ამერიკული/პრეცედენტული /common law/ და კონტინენტური ევროპის სამართალი /civil law/), ვინაიდან თავად კონტინენტური ევროპის სამართალიც კი არ არის შეთანხმებული ერთგვაროვან პოზიციაზე.¹⁴⁶ საინტერესოა და განსახილველია თითოეული ჯგუფის მიდგომა ამ მეტად პრობლემური საკითხის მიმართ.

2.1. ლიბერალური მიდგომა

ლიბერალური მიდგომის მთავარ და ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს ფრანგული დელიქტური სამართალი, რომელიც არ გამოყოფს ცალკე სუფთა სახის ქონებრივ ზიანს, თუმცა, როგორც ნაშრომში უკვე ითქვა, იგი იმდენად უზოგადესი და გენერალურია, რომ მოიცავს აღნიშნული ზიანის ანაზღაურებასაც.

ფრანგული სასამართლო გადაწყვეტილების რაოდენობის შესაბამისად შესაძლებელია თავისუფლად გაკეთდეს დასკვნა, რომ ინგლისურ და გერმანულ სამართალთან შედარებით, ფრანგული სამართლის სისტემა ყველაზე მეტად იღებს და ერგება სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს.¹⁴⁷ საფრანგეთში სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურება მაშინაც კი ხდება, როდესაც ეს გაუფრთხილებლობით იყო გამოწვეული. თუმცა, ფრანგული სასამართლოები საკმაოდ ფრთხილად და ყურადღებით ეკიდებიან თითოეულ შემთხვევას, რათა ზიანი, პირდაპირ და აშკარად გამომდინარეობდეს დამზარალელობის ქმედებიდან. აღნიშნული მიზეზობრივი კავშირის პოვნა კი სუფთა სახის ქონებრივი ზიანისას არც თუ ისე იოლია.¹⁴⁸

ლიბერალური მიდგომის ჯგუფში შემავალ ქვეყნებში, სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად გვევლინება, ამ ქვეყნების დელიქტური სამართლის მიხედვით დაცული სამართლებრივი სიკეთეების მიმართ *numerus clausus* პრინციპის არ არსებობა.¹⁴⁹ აღნიშნული პრინციპის შესაბამისად, საბერძნეთის დელიქტური

¹⁴⁶ *De Mot, J. P. B.*, Pure Economic Loss, Encyclopedia of Law and Economics, 2nd edition, Vol. 1, Tort Law and Economics, Michael Faure, (ed.), Edward Elgar, Cheltenham/Northampton, 2009, 201;

¹⁴⁷ *Van Boom W. H.*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective. Pure Economic Loss, van Boom W.H., Koziol H. & Witting C. A. (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 12;

¹⁴⁸ *Banakas E. K.*, Public Authority Liability for Pure Economic Loss: A Comparative Study of English, German and French Law, Hellenic Review of International Law, 45, 1992, 57-58;

¹⁴⁹ *Bussani M. & Palmer V.*, The liability regimes of Europe – their façades and interiors The notion of pure economic loss and its setting, Pure Economic Loss in Europe, Bussani M. & Palmer V., (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 123.

სამართალი არ მიჯნავს ერთმანეთისაგან ერთი მხრივ პირის ჯანმრთელობის ან ნივთის დაზიანებას (ფიზიკური ზიანი) და მეორე მხრივ - ქონებრივ/ეკონომიკურ დანაკლისს (სუფთა სახის ქონებრივი ზიანი).¹⁵⁰

აღნიშნული ლიბერალური მიდგომა დელიქტების ანაზღაურების მიმართ, ახდენს დადებით ზეგავლენას სხვადასხვა ბიზნეს სექტორის წინსვლაზე, რაც გამოიხატება, მაგალითად საფრანგეთში სადაზღვეო სექტორისა და სამართლის განვითარებაზე. შესაბამისად დელიქტური ანაზღაურება ხშირად მეორეხარისხოვან როლს იძენს სადაზღვეო ურთიერთობებთან მიმართებით. თუმცა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგრესის პრინციპი და სუბროგაციის წესი, რომელსაც შესაბამისი სადაზღვეო კომპანიები ანაზღაურების გაცემის შემდგომ მიმართავენ ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ.¹⁵¹

2.2. პრაგმატული მიდგომა

პრაგმატული მიდგომა დამახასიათებელია არა მხოლოდ ევროპული კონტინენტისთვის, არამედ ამ მიდგომით აგრეთვე გამოირჩევა ამერიკული სამართალიც. თუმცა, მის ნათელ მაგალითად დღესდღეობითაც რჩება ინგლისური სამართალი, რომელმაც არსებითი ზეგავლენა მოახდინა შოტლანდიურ და ნიდერლანდურ პოზიციაზე სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურების კუთხით. მსგავსი მიდგომის ქვეყნები გამოირჩევიან თითოეული საქმისადმი ინდივიდუალური მიდგომით. მოსამართლეები სწავლობენ არა მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს, არამედ აგრეთვე - სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებსაც, რომელიც ახდენენ ზეგავლენას საქმეზე. სასამართლო გადაწყვეტილებები არ გამომდინარეობს რაიმე დადგენილი იმპერატიული ნორმიდან ან პრინციპიდან. მოსამართლე არ ხელმძღვანელობს რომელიმე კანონით სადაც ჩამოთვლილია დელიქტური სამართლით დაცული სიკეთეები, არამედ ყველაზე მთავარი და გადამწყვეტი

¹⁵⁰ *Deliyanni-Dimitrakou, C.*, Pure Economic Loss under Greek Law, *Hellenic Review of International Law*, 59, 2006, 87;

¹⁵¹ *Егорова М. А., Крылов В. Г., Романов А. К.*, Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Юстицинформ, Москва, 2017, 352.

სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის არის „ზრუნვის ვალდებულების“ კონცეფცია.¹⁵²

ა) ინგლისური სამართლის მიდგომა

ინგლისში 1964 წლამდე მიიჩნეოდა, რომ მომჩივანს არ შეეძლო მოეთხოვა მოპასუხისაგან ზიანის ანაზღაურება, თუ სახეზე იყო სუფთა სახის ქონებრივი ზიანი და იგი გამოწვეულია ზიანის მიმყენებლის გაუფრთხილებლობით.¹⁵³ აღნიშნული მიდგომა შეცვალა სასამართლო გადაწყვეტილებამ Hedley Byrne - ის საქმეზე.¹⁵⁴ მოცემული საქმე შეეხებოდა შემთხვევას, რომლის დროსაც მოპასუხემ მე-3 პირთან დაკავშირებით არასწორად გასცა ინფორმაცია, რომლის გამოც მომჩივანს მიაღდა ზიანი. მართალია აღნიშნული საქმე მომჩივანის სასარგებლოდ არ დასრულებულა, თუმცა, იგი მაინც წარმოადგენს პრეცედენტულ გადაწყვეტილებას, ვინაიდან სასამართლომ იმსჯელა და დაუშვა კონკრეტული შემთხვევები, როდესაც სუფთა სახის ქონებრივი ზიანი შესაძლოა ანაზღაურდეს.¹⁵⁵ სწორედ ამ საქმით მოხდა იმ შემთხვევების განსაზღვრა, როდესაც ანაზღაურდება სუფთა სახის ქონებრივი ზიანი, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ნდობით იმ არასწორ ინფორმაციაზე, რაც საფუძველი გახდა შემდგომში ხელშეკრულების დადების, რამაც საბოლოოდ ზიანი მიაყენა მხარეს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს გაუფრთხილებელი ქმედებითაც და უმოქმედობითაც, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მხარეებს შორის უნდა არსებობდეს „სპეციალური/განსაკუთრებული ურთიერთობები“.¹⁵⁶

სასამართლომ დაადგინა, რომ მართალია ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეებს შორის არსებობდა „ზრუნვის ვალდებულება“, თუმცა, აგრეთვე განმარტა - იმისათვის, რომ ანაზღაურდეს სუფთა სახის ქონებრივი ზიანი,

¹⁵² *Bussani M. & Palmer V.*, The liability regimes of Europe – their façades and interiors The notion of pure economic loss and its setting, Pure Economic Loss in Europe, Bussani M. & Palmer V., (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 124;

¹⁵³ *McBride N. J. & Bagshaw R.*, Tort Law, 6th editon, Pearson Education Limited, Harlow, 2018, 152

¹⁵⁴ იხ. გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატის 1963 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Hedley Byrne & Company Limited v. Heller & Partners Limited*, [1963] UKHL 4, ხელმისაწვდომია - <https://www.bailii.org/uk/cases/UKHL/1963/4.html>;

¹⁵⁵ *Kwon, Y.*, Pure Economic Loss: A Korean Perspective, Journal of Korean Law, vol. 10, no. 2, 2011, 213;

¹⁵⁶ *MacGrath M.*, The Recovery of Pure Economic Loss in Negligence - An Emerging Dichotomy, Oxford Journal of Legal Studies 5, Oxford, 1985, 350.

რომელიც გამოწვეულია მოპასუხის გაუფრთხილებლობით, „ზრუნვის ვალდებულება“ უნდა იყოს გაცილებით ფართო და ძლიერი.

„ზრუნვის ვალდებულება“ დაფუძნებულია მომჩივანსა და მოპასუხეს შორის არსებულ ახლო (ნდობით აღჭურვილი) ურთიერთობაზე. აღნიშნული გულისხმობს, რომ ზიანის მიმყენებელმა იცოდა, ან უნდა ცოდნოდა, რომ მომჩივანი, როგორც გამორჩეული, ინდივიდუალური პირი და არა განუსაზღვრელი პირთა ჯგუფი, ენდობოდა მის რჩევას ან ინფორმაციას.¹⁵⁷

ინგლისური სასამართლო სხვა გადაწყვეტილებაში¹⁵⁸ განმარტავს, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოპასუხის ქმედება წინასწარ განჭვრეტად ზიანს გამოიწვევდა არ არის საკმარისი საფუძველი, რომ მას დაზარალებულის მიმართ „ზრუნვის ვალდებულება“ დავაკისროთ.

ინგლისური სასამართლო პრაქტიკა ლოგიკურად მივიდა შემდგომ გადაწყვეტილებამდე ე.წ. „სადენის საქმეზე“ - Spartan Steel.¹⁵⁹ მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი მასალების თანახმად ირკვევა, რომ მოპასუხე კომპანია აწარმოებდა სამუშაოებს, რა დროსაც შემთხვევით დააზიანა სადენი, რომელიც ამარაგებდა ელექტროენერგიით მომჩივან კომპანიას. ეს უკანასკნელი აღნობდა მეტალს, რა დროსაც ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა და მეტალი რომელიც დნებოდა განადგურდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანს და აქტუალურს, რომელიც მიჯნავს ერთმანეთისაგან ორი სახის ეკონომიკურ ზიანს. ერთი მხრივ ზიანი, რომელიც გამოიწვია ნივთის განადგურებამ და მეორე მხრივ - 14 საათიანი დაყოვნებით მიღებული სუფთა სახის ქონებრივი ზიანი.¹⁶⁰ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მოცემულ შემთხვევაში თავად ნივთის განადგურებით გამოწვეული ზიანი ორ ცალკეულ ნაწილად იყოფა. ა) ზიანი რომელიც გამოიწვია ნივთის ფიზიკურმა განადგურებამ (ნივთის ფიზიკური დაზიანება - მეტალი, რომელმაც დნობა შეწყვიტა და უვარგისი გახდა) და ბ) ზიანი

¹⁵⁷ Bussani M. & Palmer V. (eds.), *The case studies, Pure Economic Loss in Europe*, Cambridge University Press, Cambridge, 2003, 277;

¹⁵⁸ იხ. გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატის 1932 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Donoghue v. Stevenson*, [1932] UKHL 100. ხელმისაწვდომია - <https://www.bailii.org/uk/cases/UKHL/1932/100.html>;

¹⁵⁹ იხ. ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლოს 1972 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Spartan Steel and Alloys Limited v. Martin & Company (Contractors) Limited*, [1972] EWCA Civ 3. ხელმისაწვდომია - <https://www.bailii.org/ew/cases/EWCA/1972/3.html>;

¹⁶⁰ *Dam, C. V.*, *European tort law*, 2nd edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 207.

რომელიც მიადგა კომპანიას დაზიანებული ნივთის გაუსხვისებლობით (ეკონომიკური ზიანი - თანხა რომელიც კომპანიას უნდა მიეღო განადგურებული ნივთის გასხვისებით). მესამე ზიანი კი, ამ შემთხვევაშიც, სუფთა სახის ქონებრივი ზიანია (სუფთა ეკონომიკური/ფინანსური ზიანი), რომელიც კომპანიას მიადგა 14 საათიანი უმოქმედობით. რადგან, ვერ ამზადებდა ახალ ნაწარმს.¹⁶¹ თუმცა, მნიშვნელოვანია რომ ორივე მიდგომის დროს სუფთა სახის ქონებრივი ზიანი სახეზეა, ვინაიდან სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა არ ხდება, რაიმე ქონების ან ვინმეს დაზიანებას ადგილი არ აქვს.

სასამართლომ იმსჯელა და დაადგინა, რომ უნდა ანაზღაურებულიყო მხოლოდ უშუალოდ მეტალის დაზიანებით გამოწვეული ზიანი, ხოლო სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მოპასუხე მხარეს არ დააკისრა.

სასამართლოს მოსაზრებით, კომპანიას, რომელიც აწარმოებდა სამუშაოებს, ჰქონდა „ზრუნვის ვალდებულება“ დაზარალებული კომპანიის მიმართ იმ ჭრილში, რომ არ დაეზიანებინა ელექტროენერჯის სადენი. ეს ვალდებულება მოპასუხეს ეკისრებოდა იმ საფუძველზე, რომ შედეგი და შესაბამისად ზიანი, რომელიც მიადგა დნობის პროცესში მყოფ მეტალს იყო განჭვრეტადი. რაც შეეხება სუფთა ქონებრივი ზიანს, მისი ანაზღაურების ვალდებულების დასაკისრებლად, ზიანის მიმყენებელ კომპანიას აგრეთვე უნდა ჰქონოდა ზრუნვის ვალდებულება ბიზნეს ურთიერთობების მიმართაც, რომელიც არსებობს, მხოლოდ მჭიდროდ დაკავშირებული პირების მიმართ, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო.¹⁶² შესაბამისად, სასამართლომ არ დააკისრა მოპასუხეს სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

აღნიშნული საქმე სწორედ იმ კუთხით არის მნიშვნელოვანი, რომ ხდება 3 სახის ზიანის გამიჯვნა. ერთი მხრივ სახეზე გვაქვს საკუთრების, როგორც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, როდესაც დნობის პროცესში მყოფი მეტალი ნადგურდება, სამართლებრივი სიკეთე ხელყოფილია იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღნიშნული ნივთის, რომელიც განადგურდა, მისი გასხვისება შეუძლებელი ხდება. თუმცა, აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა არ ხდება 14 საათიანი უმოქმედობის დროს და სწორედ ამ პრობლემას აწყდება ქვეყნების უმრავლესობა, როდესაც საქმე გვაქვს სუფთა სახის ქონებრივი ზიანთან.

¹⁶¹ *Elliott C. and Quinn F.*, Tort Law, 7th edition, Pearson Education Limited, Harlow, 2009, 27;

¹⁶² *McBride N. J. & Bagshaw R.*, Tort Law, 6th editon, Pearson Education Limited, Harlow, 2018, 81.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ინგლისურ სამართალში შეინიშნებოდა სუფთა სახის ქონებრივი ზიანისადმი ლიბერალური მიდგომის ფაქტების წინ წამოწევა, თუმცა არც ყოფილა მოლოდინი იმისა, რომ იგი ისეთივე მიდგომას ჩამოაყალიბებდა, როგორც საფრანგეთში, ბელგიასა და ნიდერლანდებში იყო.¹⁶³

ბ) ამერიკული სამართლის მიდგომა

პრაგმატული მიდგომის ჯგუფთან ერთად საინტერესოა ამერიკული სამართლის განხილვაც. ამერიკის შეერთებულ შტატებში დელიქტური სამართალი არ არის მოცული ერთიანი ფედერაციული (ცენტრალიზებული) სამართლებრივი სისტემით, არამედ თითოეული შტატი თავისი ადგილობრივი სამართლით არეგულირებს დელიქტურ შემთხვევებს. ამერიკის ფედერაციული (ცენტრალიზებული) სამართლით კი რეგულირდება მხოლოდ საზღვაო/ სანაოსნო დელიქტური შემთხვევები.¹⁶⁴

ინგლისის მსგავსად ამერიკაშიც ჩამოაყალიბდა მიდგომა, რომელიც როგორც წესი უარს ამბობს სუფთა ქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე. ამერიკული სასამართლოებიც, ისევე როგორც ბრიტანული, მიუთითებენ „ზრუნვის ვალდებულებების“ მაღალ სტანდარტზე, რის საფუძველზეც უარს ამბობდნენ სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე.¹⁶⁵

ამერიკელები მსგავსი მიდგომის ახსნას ცდილობდნენ შემდეგი ფრაზით, რომ ეს არის განუსაზღვრელი ოდენობის, განუსაზღვრელი დროის პერიოდში და განუსაზღვრელი სახის ზიანი, რომლის დაშვებაც გამოიწვევს საწარმოების, კერძო სექტორისა და სასამართლოების პარალიზებას. თეორიულად, ადამიანის ნებისმიერ ქმედებასა ან სიტყვას შესაძლოა მოჰყვეს რაიმე გამოუსწორებელი შედეგი, რომელიც მიგვიყვანს სუფთა სახის ქონებრივ ზიანამდე.¹⁶⁶

კალიფორნიის შტატი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც დაუშვა გაუფრთხილებლობით გამოწვეული სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, რომელიც მომდინარეობდა საქონლის მიწოდებიდან ან

¹⁶³ *Markesinis B. S., & Unberath H.*, The German Law of Torts: A Comparative Treatise, 4th edition, Hart Publishing, Oxford and Portland, 2002, 53;

¹⁶⁴ *Herbert B.*, Civil Liability for Pure Economic Loss Under American Tort Law, American Journal of Comparative Law Supplement 46, 1998, 111;

¹⁶⁵ *Kwon Y.*, Pure Economic Loss: A Korean Perspective, Journal of Korean Law, vol. 10, no. 2, 2011, 218-219;

¹⁶⁶ *ob. Bowal P.*, Pure Economic Loss Claims, LawNow, vol. 25, no. 5, 2001, 30.

მომსახურების გაცემიდან.¹⁶⁷ კალიფორნიის შტატის მსგავსად მოგვიანებით რამდენიმე ამერიკულმა შტატის სასამართლოებმაც მიიღეს პრეცედენტული გადაწყვეტილებები.

2.3. კონსერვატიული მიდგომა

კონსერვატიული მიდგომა საკმაოდ საინტერესოა ქართული რეალობისთვის, ვინაიდან სწორედ ამ მიდგომით ხასიათდება გერმანული სამართალი. გერმანული სამოქალაქო კოდექსის 823.1 პარაგრაფი ჩამოთვლის იმ სამართლებრივ სიკეთეებს, რომელთა დაცვასაც მიზანშეწონილად მიიჩნევს.¹⁶⁸ ასეთებია ის აბსოლუტური სიკეთეები, როგორცაა ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, ქონება და სხვა უფლებები (ein sonstiges Recht).¹⁶⁹ აღნიშნულ სხვა უფლებების წაკითხვისას პირველადი წარმოდგენა მკითხველს ექმნება, რომ იგი შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერ ზიანზე, მათ შორის სუფთა სახის ქონებრივ ზიანზე (reiner Vermögensschaden),¹⁷⁰ თუმცა, როგორც თავად გერმანელები განმარტავენ, ამ სიტყვებში იგულისხმება ის ზიანი, რომელიც გამოიწვია სხვა, თუმცა მაინც აბსოლუტური უფლების ხელყოფამ. კანონმდებლის მიზნით, ასეთი ზიანი შეიძლება გამომდინარეობდეს საავტორო უფლებებიდან, პატენტიდან და სხვა ურთიერთობებიდან.¹⁷¹

როგორც უკვე ვნახეთ, მიუხედავად მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული განსხვავებისა ლიბერალური და პრაგმატული მიდგომის სახელმწიფოთა სამართალს შორის, ორივე მათგანი საბოლოო ჯამში მაინც უშვებს გაუფრთხილებლობით გამოწვეული სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. მაშინ როდესაც, გერმანული სამართალი თითქოს საერთოდ უარყოფს მსგავსი სახის ზიანის არსებობას.¹⁷²

¹⁶⁷ *Gauch P., Sweet J., Deliktshaftung für reinen Vermögensschaden, Festschrift Max Keller, Zürich, 1989, 12;*

¹⁶⁸ *კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბილისი, 2014, §823, 644, ველი 40;*

¹⁶⁹ *Van Boom W. H., Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, Van Boom W.H., Koziol H. & Witting C. A. (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 7;*

¹⁷⁰ *Markesinis, B. S., & Unberath H. The German Law of Torts: A Comparative Treatise, 4th edition, Hart Publishing, Oxford and Portland, 2002, 52;*

¹⁷¹ *Dam C. V., European tort law, 2nd edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 82;*

¹⁷² *Bussani M. & Palmer V., The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe Bussani M. & Palmer V. (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 148.*

ის რომ გერმანული სამართალი ცდილობს უარყოს სუფთა სახის ქონებრივი ზიანი არ ნიშნავს, რომ რეალობაში მსგავსი სახის შემთხვევები არ დგება. თავად სასამართლოსაც ხშირად უწევს ამ საკითხზე მსჯელობა. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე მსჯელობა.¹⁷³

ა) დამცავი დებულება (Protective statutes, Schutzgesetz)

იგი თავის თავში მოიაზრებს, რომ არსებობს რაიმე სამართალი ან ნორმა, რომელიც იცავს აღნიშნულ სუფთა სახის ქონებრივ ინტერესს. იგი გამოიხატება ისეთ შემთხვევებში, როდესაც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება პირს ისეთი ქმედებისათვის, რომელიც მაგალითად აგრეთვე სისხლისსამართლებრივ ხასიათს ატარებს.¹⁷⁴ დამცავი დებულება სახეზე გვაქვს, როდესაც კონკრეტული ნორმა შეიცავს მოქმედების ინსტრუქციას და მისი მიზანმიმართული უგულებელყოფა ხდება, ასევე, როდესაც ხდება ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციის დამზადება, რაც გერმანიაში კანონით არის აკრძალული.¹⁷⁵

ბ) სხვა უფლება (ein sonstiges Recht)

სიტყვები, რომლებიც ნახსენებია გსკ-ის 823.1 პარაგრაფის ბოლოს და არის გერმანულის სამართლის მცდელობა ჩამოაყალიბოს ე.წ. გენერალური დელიქტური დათქმა. სასამართლოებს გერმანიაში არაერთხელ ჰქონიათ მცდელობა, რომ სუფთა სახის ქონებრივი ზიანი მოეზრებიანთ ამ „სხვა უფლებებში“, განსაკუთრებით ისეთ საქმეებში, როგორცაა - გაფიცვა, საწარმოო თვალთვალი და ბლოკირება.¹⁷⁶ თუმცა გერმანიის სასამართლომ მაინც მიიჩნია, რომ მსგავსი დავები კავშირშია არა აბსოლუტურ სიკეთებთან, რომლის დაცვასაც 823.1 პარაგრაფი მიზნად ისახავს, არამედ ბიზნესის უფლებებთან, შესაბამისად არ დააკმაყოფილა მსგავსი სუფთა სახის ქონებრივი ზიანით გამოწვეული მოთხოვნები.¹⁷⁷

¹⁷³ Van Boom, W. H., Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, van Boom W.H., Koziol H. & Witting C. A. (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 8;

¹⁷⁴ Markesinis B. S., & Unberath H., The German Law of Torts: A Comparative Treatise, 4th edition, Hart Publishing, Oxford and Portland, 2002, 43;

¹⁷⁵ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბილისი, 2014, §826, 647, ველი 49;

¹⁷⁶ იხ. BGH, 1970, II ZR 133/68;

¹⁷⁷ Van Boom W. H., Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, van Boom W.H., Koziol H. & Witting C. A. (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 8.

გ) განზრახ „უზნეო“ ქმედება (Sittenwidrigkeit)

ასე შეიძლება დასათაურდეს შემდეგი გზა, რომლითაც არის შესაძლებელი გერმანიაში სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე გასვლა. იგი განსაზღვრულია გსკ-ის 826-ე პარაგრაფით, რომელიც აღნიშნავს, რომ პირი პასუხს აგებს იმ ზიანისთვის, რომელიც გამოიწვია მისმა განზრახ ქმედებამ, რომელიც ეწინააღმდეგება მორალს, პრინციპებს (Sittenwidrigkeit) და სახელმწიფო პოლიტიკას.¹⁷⁸ აღნიშნული ნორმა სპეციალურად იქნა შექმნილი ისეთი შემთხვევებისთვის, რომლებიც ვერ მოექცა გსკ-ის 823-ე პარაგრაფის დაცვის ქვეშ.¹⁷⁹ მისი არსებობისთვის საჭიროა 2 წინაპირობის არსებობა: 1. სახეზე უნდა იყოს ზნეობრივი ნომის დარღვევის ფაქტი, რომელიც ფასდება ობიექტური და სუბიექტური ნიშნით და 2. აღნიშნული დარღვევა ჩადენილი უნდა იყოს განზრახ.¹⁸⁰ მოცემული ნორმა ფარავს სუფთა სახის ქონებრივი ზიანიდან წარმოშობილ პასუხისმგებლობას, თუმცა იგი შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი გამოწვეული იყო განზრახ ქმედებით. გაუფრთხილებლობით გამოწვეულ შემთხვევებს გერმანული სამართალი არ იცნობს.¹⁸¹

დ) ხელშეკრულებებით ბუფერული სივრცეების შევსება

გერმანიაში შეთანხმებული პოზიციაა, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულება კვლავ რჩება იმ ერთადერთ და გარანტირებულ საშუალებად, როდესაც შესაძლებელია პირმა პასუხი აგოს გაუფრთხილებლობით გამოწვეული სუფთა სახის ქონებრივი ზიანისათვის.¹⁸² ის რაც არ არის დაშვებული კანონმდებლობით, მხედველობაში მაქვს სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურება გაუფრთხილებლობის დროს, თავისუფლად შეიძლება დარეგულირდეს ხელშეკრულებით, სადაც მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რა სახის ზიანისთვის როგორი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მხარეს.¹⁸³

¹⁷⁸ *Bussani M. & Palmer V.*, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe Bussani M. & Palmer V. (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 149;

¹⁷⁹ *Dam C. V.*, European tort law, 2nd edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 83;

¹⁸⁰ *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბილისი, 2014, §826, 649-650, ველი 2-3;

¹⁸¹ *Dam, C. V.*, European tort law, 2nd edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 83 და *Van Boom, W. H.*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, van Boom W.H., Koziol H. & Witting C. A. (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 9;

¹⁸² *Bussani M. & Palmer V.*, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe Bussani M. & Palmer V. (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 150;

¹⁸³ *Van Boom, W. H.*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, van Boom W.H., Koziol H. & Witting C. A. (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 9-10.

შესაბამისად გერმანული სახელმწიფოს მხრიდან სუფთა სახის ქონებრივი ზიანის დელიქტური სამართლით გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია, რომ აღნიშნული საკითხის დარეგულირება თავად მხარეებმა დაიწყეს ხელშეკრულებებით. ხელშეკრულების გზით ხდება თავად მხარეებისათვის ან მესამე პირებისათვის მიყენებული სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

ყველაზე ქმედითი მექანიზმი, რითიც პროფესორებმა და მოსამართლეებმა დაიწყეს ბრძოლა გერმანული სამართლის მიდგომასთან სუფთა სახის ქონებრივ ზიანთან მიმართებით, იყო სწორედ ხელშეკრულებების კონფიდენციალურობის ბარიერის დაწევა. მათ დაიწყეს ხელშეკრულების პირობების გავრცელება სუფთა სახის ქონებრივ ზიანზე. ყველაზე ქმედით და ფართოდ გავრცელებულ მექანიზმად ამ შემთხვევაში გვევლინება გარიგებები მესამე პირების დაცვის ეფექტით (*Vertrag mit Schutzwirkung für Dritter*), რომლებიც საშუალებას აძლევს არამონაწილე პირს გამოიყენოს გარიგების პირობები და დაიცვას საკუთარი ინტერესები. სწორედ სუფთა სახის ქონებრივი ზიანი გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც გერმანიაში ხელშეკრულებებით მესამე - არამონაწილე პირის ინტერესების გათვალისწინება დაიწყეს.¹⁸⁴

ბანკირები/აუდიტორების საქმეში, სადაც კომპანიამ გასცა არასწორი ინფორმაცია, რის გამოც მესამე პირმა განიცადა ეკონომიკური ზიანი, გერმანული სამართალი, საკმაოდ მარტივად უდგება და განმარტავს, რომ გერმანული სასამართლო ამ დავას განიხილავდა სწორედ სახელშეკრულებო სამართლის ჭრილში და არა დელიქტის კუთხით.¹⁸⁵

უამრავ საქმეს, რასაც იტალიელი, ამერიკელი და ინგლისელი მოსამართლეები განიხილავდნენ, როგორც დელიქტურ სამართალს დაქვემდებარებულ შემთხვევებს, გერმანიაში იგი მიესადაგება სახელშეკრულებო სამართალს. სახელშეკრულებო დაცვის მექანიზმი, რომლებიც მიმართულია მესამე პირების ინტერესების დაცვაზე, გარკვეულწილად ატარებს დელიქტურ ხასიათს, რადგან ეს მესამე პირი არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს, არამედ სრულიად „უცხო“ პირია ამ ხელშეკრულების მონაწილეთათვის და არ არის აუცილებელი, რომ იგი წინასწარ იყოს განსაზღვრული და დაკონკრეტებული. ამასთან ერთად თუ მსგავსი შემთხვევა განსაზღვრული იქნება ხელშეკრულებით, არ იქნება აუცილებელი, რომ იგი მომდინარეობდეს

¹⁸⁴ *Bussani M. & Palmer V.*, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe Bussani M. & Palmer V. (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 150;

¹⁸⁵ *Van Boom W. H.*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, van Boom W.H., Koziol H. & Witting C. A., eds., Springer, Vienna/New York, 2004, 10.

აბსოლუტური უფლებიდან, როგორც ამას გსკ-ის 823.1 პარაგრაფი მოითხოვს.¹⁸⁶

2.4. განსხვავებული მიდგომა

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც იტალიური, ავსტრიული და შვეიცარული მიდგომა იკავებენ შუალედურ პოზიციას კონტინენტური ევროპის ორ რადიკალურად განსხვავებულ მიდგომას შორის, მხედველობაში მაქვს გერმანული კონსერვატიული მიდგომა და ფრანგული ლიბერალური მიდგომა. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ აღნიშნულ ქვეყნებში დელიქტური სამართალი იცნობს ე.წ. გენერალური დათქმის პრინციპს და შესაბამისად ფრანგულის მსგავსად თავად სამართლებრივი ნორმა ყოვლისმომცველია, სასამართლო პრაქტიკა მაინც დაფუძნებულია იმ ძირითადი იურიდიული უფლებების დაცვაზე, როგორცაა ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და საკუთრება. გერმანულ მიდგომას ყველაზე მეტად დაშორდა იტალიური სასამართლო პრაქტიკა, როდესაც უზენაესმა სასამართლომ მატერიალური ზიანი სრულად დაუქვემდებარა სამართლებრივად დაცულ სიკეთეს, რითიც ფაქტობრივად დაუშვა სუფთა სახის ქონებრივი ზიანისათვის პასუხისმგებლობა. უფრო მეტიც, აღნიშნული გადაწყვეტილებით, იტალიური სამართალი ფაქტობრივად უშვებს კრედიტორის მოთხოვნას იმ ზიანისათვის, რომელიც მას მიადგა მოვალის მხრიდან, მაშინ როდესაც სხვა უამრავი სახელმწიფოს მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის ამ საკითხთან მიმართებით.¹⁸⁷

3. ქართული სამართლის მიდგომა სუფთა სახის ქონებრივ ზიანთან მიმართებით

ცალსახაა, რომ არა მხოლოდ სხვადასხვა სამართლის სისტემები (პრეცედენტული სამართლისა და კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემა) აყალიბებენ განსხვავებულ მიდგომას სუფთა სახის ქონებრივი ზიანისადმი, არამედ, როგორც უკვე წინა ქვეთავში ვნახეთ თავად კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის შიგნით არსებობს სულ მცირე ორი მიდგომა ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ.

¹⁸⁶ *Bussani M. & Palmer V.*, The liability regimes of Europe – their façades and interiors, Pure Economic Loss in Europe Bussani M. & Palmer V. (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 151;

¹⁸⁷ *Van Boom W. H.*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, van Boom W.H., Koziol H. & Witting C. A. (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 14.

საფრანგეთში, რომლის სამართალიც დაფუძნებულია ფილოსოფიურ და რელიგიურ იდეებზე, სადაც რევოლუციურმა იდეებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამოქალაქო კოდექსის შექმნაზე, მუდმივად სუსტი - დაჩაგრული მხარის ინტერესების დაცვა არის პრიორიტეტი. ფრანგული გენერალური დელიქტური დათქმა იმდენად ფართო და ყოვლისმომცველია, რომ მიესადაგება ყოველ სიტუაციას და შესაძლებელს ხდის დარღვეული უფლებების და ინტერესების, მათ შორის სუფთა ეკონომიკური ინტერესების დაცვასაც კი.¹⁸⁸ შესაბამისად, ფრანგული სამართალი უპირატესობას ანიჭებს დელიქტურ სამართალს და ხშირად მას მაშინაც კი იყენებს, როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობებიც კი არის სახეზე.

გერმანული სამართალი ცდილობს თავი აარიდოს გენერალურ დელიქტურ დათქმას, ამ საკითხს იგი საკმაოდ კონსერვატიულად უდგება. მხედველობაში მაქვს რომაული სამართლის მიდგომა. რომაული სამართალი არ იცნობდა გენერალურ დელიქტურ დათქმას, არამედ გამოყოფდა ცალკეულ დელიქტებს.¹⁸⁹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფი შუალედურ რგოლს წარმოადგენს რომაულ მიდგომასა და ფრანგულ გენერალურ დათქმას შორის, ვინაიდან იგი განსაზღვრავს იმ აბსოლუტურ უფლებებს, რომელთა დასაცავადაც გამოიყენება ეს პარაგრაფი. გერმანიაში სასამართლო პირველ რიგში დელიქტის დროს ამოწმებს არის თუ არა სახეზე გსკ-ის 823.1 პარაგრაფით განსაზღვრული აბსოლუტური სიკეთე დარღვეული. თუ აბსოლუტური სიკეთის დარღვევიდან არ გამომდინარეობს ზიანი, მაშინ გსკ-ის 823.1 პარაგრაფით ზიანის მოთხოვნა შეუძლებელია.¹⁹⁰

აღსანიშნავია, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსი, განსხვავებით გერმანული სამოქალაქო კოდექსისა პირდაპირ არ ჩამოთვლის იმ სამართლებრივ სიკეთეებს, რომლის დაცვასაც მიზანშეწონილად მიიჩნევს დელიქტური სამართლის მიერ. ქართული სამოქალაქო კოდექსი გარკვეულწილად აყალიბებს ფრანგულის მსგავსად ე.წ. გენერალურ დელიქტურ დათქმას, როდესაც პირი ვალდებულია აანაზღაუროს მის მიერ განზრახ ან გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანი. გერმანული სამოქალაქო კოდექსის 823.1 პარაგრაფისგან განსხვავებით სსკ-ის 992-ე მუხლი აგრეთვე მოიაზრებს სუთა სახის ქონებრივ ზიანსაც, რითიც ქართული სამართლის მიდგომა მნიშვნელოვნად ემსგავსება ავსტრიულ და შვეიცარიულ მიდგომას.

¹⁸⁸ *Kwon Y.*, Pure Economic Loss: A Korean Perspective, *Journal of Korean Law*, vol. 10, no. 2, 2011, 223-224;

¹⁸⁹ *Mousourakis G.*, *Roman Law and the Origins of the Civil Law Tradition*, Springer, Cham, 2015, 144;

¹⁹⁰ *Bussani M. & Palmer V.*, The liability regimes of Europe – their façades and interiors, *Pure Economic Loss in Europe* Bussani M. & Palmer V. (eds.), Cambridge University Press, Cambridge, 2003, 148-149.

სამივე სამართალი გერმანული სამართლის ოჯახის წევრად ითვლება, თუმცა გერმანულისაგან განსხვავებით არ ჩამოთვლიან იმ აბსოლუტურ სიკეთებს, არამედ აყალიბებენ გენერალურ დელიქტურ დათქმას.¹⁹¹

ქართული სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო. მართალია თავად მუხლი და დათქმა გენერალურია, შესაბამისად, მოიცავს სუფთა სახის ქონებრივ ზიანსაც, მაგრამ მუხლი აგრეთვე ფრანგული დელიქტური დათქმისაგან განსხვავებით განმარტავს, რომ ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო. ქართული სამართლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისათვის მართლწინააღმდეგობის ელემენტი აუცილებელია, რომელიც გარკვეულწილად ფაქტობრივად ემსგავსება გსკ-ის 823.2 პარაგრაფს. ამ ნორმით შესაძლებელია დაცული იყოს არა მხოლოდ აბსოლუტური სიკეთე, თუ მისი დაცვა ან დაზიანების აკრძალვა პირდაპირ არის გათვალისწინებული რაიმე ნორმით, არამედ სუფთა სახის ქონებრივი ზიანიც.¹⁹²

ინგლისური სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სადენის მსგავსი საქმე განხილულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. თუ დარღვეულია აბსოლუტური სიკეთე, მაშინ ავტომატურად იგულისხმება, რომ პირის ქმედება მართლსაწინააღმდეგო იყო. თუ სახეზე გვაქვს არააბსოლუტური სიკეთის ხელყოფა, ისეთი როგორიცაა სუფთა სახის ქონებრივი ზიანი, მაშინ მართლწინააღმდეგობის ელემენტი უნდა შემოწმდეს აუცილებლად. შესაბამისად, გსკ-ის 823.2 პარაგრაფის მსგავსად ვამოწმებთ, ხომ არ არსებობს რაიმე ნორმა, რომელიც სუფთა სახის ქონებრივი ზიანს კრძალავს, შესაბამისად, იცავს მას ხელყოფისგან.¹⁹³

კიდევ ერთი ელემენტი, რომელიც განსაკუთრებულ როლს იძენს სუფთა სახის ქონებრივი ზიანის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად არის მიზეზობრივი კავშირი. აბსოლუტური სიკეთის ხელყოფისას მიზეზობრივი კავშირის დანახვა შედარებით მარტივია, რადგან ზიანი თითქოს პირდაპირ სახეზეა, მაგალითად, რომ არ შეწყვეტოდა ცნობილ „სადენების საქმეზე“ ელექტროენერჯის მიწოდება ქარხანას, მეტალი დნობას არ შეწყვეტდა და არ დაზიანდებოდა, თუმცა მიზეზობრივი კავშირის პოვნა შედარებით რთულია მეორე შემთხვევაში. რეალურად შეძლებდა თუ არა კომპანია 14 საათი

¹⁹¹ *რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ.*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 236;

¹⁹² *Van Boom W. H.*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, van Boom W.H., Koziol H. & Witting C. A. (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 8;

¹⁹³ *რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ.*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 250-251.

ეფუნქციონირა და შემდეგ ეს ნაწარმი გაეყიდა. თეორიულად მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვურმა პრინციპმა შესაძლოა მიგვიყვანოს დედამდეც კი, რომელმაც ზიანის მიმყენებელი გააჩინა.¹⁹⁴ სწორედ ამიტომ, ისევე როგორც გერმანულ სამართალში, ქართულ სამართალშიც გარკვეულწილად ხდება ამ მიზეზობრივი კავშირის დაუსრულებელი ჯაჭვის გაწყვეტა ნორმატიული კრიტერიუმების საფუძველზე.¹⁹⁵

მსოფლიოში, სწორედ რომ მიზეზობრივი კავშირი არის ის მექანიზმი, რომელიც ზღუდავს დაუსაბუთებელი სარჩელების დიდ ნაკადს სასამართლოებში. ქვეყნებში სადაც სამართალი უშვებს სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, სწორედ მიზეზობრივი კავშირი აბალანსებს, უფლების დაცვასა და შეზღუდვას.¹⁹⁶ თუმცა, ისეთ სამართლებრივ სისტემებში, როგორსაც მიეკუთვნება საქართველო, სადაც პირისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დასაკისრებლად ადგენენ, თუ რამდენად განჭვრეტადი იყო მისი ქმედება,¹⁹⁷ მიზეზობრივი კავშირის თანამედროვე მიდგომა აზრს კარგავს, რადგან ძნელად სავარაუდოა, რომ რაიმე ზიანი არ იყოს განჭვრეტადი თანამედროვე მსოფლიოში. ბანკირების/აუდიტორების საქმე რომ განვიხილოთ, რთულად დასაჯერებელია, რომ თანამშრომელი, რომელიც ამზადებს დასკვნას კომპანიისთვის, არ ვარაუდობს, რომ მისი არასწორი დასკვნის შემთხვევაში გამოიწვევს სუფთა სახის ქონებრივ ზიანს.

მიზეზობრივი კავშირი არის სხვადასხვა სახელმწიფოს სამართლის სკეპტიკური მიდგომის საფუძველი სუფთა სახის ქონებრივ ზიანთან მიმართებით. არ არის სწორი, რომ ერთ დაუდევარ ადამიანს მიეწეროს ყველა ის საშინელი შედეგი, რაც შესაძლოა თეორიულად მისმა ქმედებამ გამოიწვიოს. სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია შემთხვევა, როდესაც ერთი დაუდევარი ფერმერის გამო, რომლის ძროხასაც პირველს გაუჩნდება დაავადება, მთელს ევროპას მოედება ეს საშინელი სენი, რის გამოც მათ შორის ჯანსაღი ხორცისა და რძის ფასი მცირდება. უცხოური სამართალი მიიჩნევს, რომ გაუმართლებელი და უშედეგო იქნება ამ ერთი ფერმერის დასჯა ასეთი

¹⁹⁴ *Kwon Y.*, Pure Economic Loss: A Korean Perspective, *Journal of Korean Law*, vol. 10, no. 2, 2011, 226;

¹⁹⁵ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, *Gccc.ge*, 03/10/2017 მუხლი 412, ველი 5;

¹⁹⁶ *Van Boom W. H.*, Pure Economic Loss - a Comparative Perspective, *Pure Economic Loss*, van Boom W.H., Koziol H. & Witting C. A. (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 17-18;

¹⁹⁷ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, *Gccc.ge*, 03/10/2017 მუხლი 412, ველი 7.

შედეგისთვის და ყველაზე ლიბერალური მიდგომის სახელმწიფოებიც კი აღიარებენ, რომ ეს დაუსრულებელი ჯაჭვი ოდესმე უნდა გაწყდეს.¹⁹⁸

აღსანიშნავია, რომ დელიქტური ზიანის ანაზღაურებისას შვეიცარიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად დარღვეული ნორმის მიზნიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა შეაფასოს თუ რა ზიანისთვის არის პირი პასუხისმგებელი, თუმცა, აქვე მნიშვნელოვანია, რომ ასეთ შემთხვევაში მართლწინააღმდეგობისა და მიზეზობრივი კავშირის განხილვა გარკვეულწილად ერთობლივად მოუწევს სასამართლოს.¹⁹⁹

შესაბამისად, საბოლოო ჯამში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან იგი არ არის აბსოლუტური სიკეთე და მართლწინააღმდეგობის ელემენტის არსებობა ავტომატურად არ ივარაუდება, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გამოწვეული იყო პირის არამართლზომიერი ქმედებით,²⁰⁰ რაც მნიშვნელოვნად ემსგავსება გსკ-ის 823.2 პარაგრაფს.

V. დასკვნა

დელიქტური სამართალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე ქართულ იურისპრუდენციაში. ნაშრომის ფარგლებში განვიხილეთ სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებული მოსაზრებები. სსკ-ის 992-ე მუხლი გერმანული ანალოგისგან განსხვავებით აყალიბებს დელიქტურ გენერალურ დათქმას, რაც ერთი შეხედვით მნიშვნელოვნად ემსგავსება ფრანგულ დელიქტურ ნორმას, თუმცა ფრანგული სამართალი არ გამოყოფს მართლწინააღმდეგობის ელემენტს დამოუკიდებლად.

სუფთა სახის ქონებრივი ზიანი ეს არის ისეთი დანაკლისი, რომელიც გამომდინარეობს არა პირის სხეულის/ჯანმრთელობის ან/და მისი ქონების დაზიანებიდან. გერმანული და ქართული სამართალი არ მიიჩნევს მას

¹⁹⁸ Van Boom W. H., Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, van Boom W.H., Koziol H. & Witting C. A. (eds.), Springer, Vienna/New York, 2004, 16;

¹⁹⁹ რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 237-238;

²⁰⁰ რუსიაშვილი გ., კაზუსი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 1/2019, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2019, 87.

აბსოლუტურ სიკეთედ და შესაბამისად მის ანაზღაურებას გსკ-ის 823.1 პარაგრაფით გამორიცხავს. ერთი შეხედვით სსკ-ის 992-ე მუხლი არ გამორიცხავს სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, თუმცა, განსხვავებით აბსოლუტური სიკეთის ხელყოფისაგან, მოცემული ზიანისას, მართლწინააღმდეგობის ელემენტი ავტომატურად არ იგულისხმება და მისი შემოწმება ფაქტობრივად ემსგავსება გსკ-ის 823.2 პარაგრაფით განსაზღვრულ დამცავი დებულების შემთხვევას.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ერთი შეხედვით ვინაიდან ქართული სამართალი იცნობს გენერალურ დელიქტურ დათქმას, იგი უფრო ფართოდ უდგება ზიანის საკითხს, თუმცა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს გერმანული სამართალი, რომელიც არ იყენებს გენერალურ დელიქტურ დათქმას, სუფთა სახის ქონებრივ ზიანთან მიმართებით უფრო ფართო მიდგომით გამოირჩევა.

ქართული სამართალი არ იცნობს გსკ-ის 826-ე პარაგრაფის მსგავს ჩანაწერს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ის შედეგი, რომ გარკვეული სუფთა სახის ქონებრივი ზიანი შესაძლოა ანაზღაურდეს გერმანიაში, თუმცა არა - საქართველოში. პირის განზრახი ზნეობის საწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანი გერმანიაში ანაზღაურდება, საქართველოში კი არა. მაგალითად, თუ პირი განზრახ არღვევინებს (წააქეზებს) მეორე პირს ხელშეკრულებას, რათა მესამე პირს ამით ზიანი მიადგეს, ქართული კანონმდებლობით მესამე პირი ვერ შეძლებს ამ პირისაგან ზიანის ანაზღაურებას. გერმანულ სამართალში კი ეს ზნეობის საწინააღმდეგო ქმედებად ჩაითვლება და პირი შეძლებს მოითხოვოს სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურება.²⁰¹

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურება საქართველოში შესაძლებელია, თუმცა სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა შეამოწმოს მართლწინააღმდეგობისა და მიზეზობრივი კავშირის ელემენტი. გასათვალისწინებელია ბრიტანული და ამერიკული სამართლის სკეპტიკური მიდგომის მიზეზებიც, ვინაიდან სუფთა სახის ქონებრივი ზიანის დაშვებით, ისევე როგორც ეს არის საფრანგეთში და სხვა ლიბერალური მიდგომის სახელმწიფოებში, შესაძლოა გამოიწვიოს სასამართლო სისტემის პარალიზება და გადატვირთვა დაუსაბუთებელი სარჩელებით.

²⁰¹ კროკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბილისი, 2014, §826, 650, ველი 4.

საინტერესოა, აგრეთვე გერმანული სამართლის მიდგომა აღნიშნული პრობლემისაგან თავის დასაღწევად. მიმაჩნია, რომ ხელშეკრულების მეშვეობით მესამე პირის ინტერესების დაცვა (როგორც ეს გერმანიაშია) და მათი კონფიდენციალურობის სტატუსის შემცირება სასამართლოთა მიერ, მნიშვნელოვნად დაეხმარება ამ მეტად აქტუალური საკითხის დარეგულირებაში. საქართველოში, ისევე, როგორც გერმანიაში სუფთა სახის ქონებრივი ზიანის ანაზღაურება მესამე პირს გარანტირებულად შეუძლია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, სხვა შემთხვევებში დაზარალებულს მოუწევს, რომ დაამტკიცოს ზიანის მიმყენებლის ქმედებაში მართლსაწინააღმდეგო ელემენტის არსებობა.

ბიბლიოგრაფია

- ავტორთა კოლექტივი* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, (ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ. და ხეცურიანი ჯ. რედ.) თბილისის, 2001
- ავტორთა კოლექტივი* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, (ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ. და ხეცურიანი ჯ. რედ.) თბილისის, 2001
- ბათლიძე გ.* ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, თბილისი, 2015
- დუნდუა მ.* დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი N1, თბილისი, 2009
- ვაშაკიძე გ.* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, Gccc.ge, 26/10/2016, მუხლი 316
- თოდუა მ., ვილჰელმსი კ.* ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006
- კროპკოლერი ი.* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014
- ნეიმანი ა.* ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1978,

- რუსიაშვილი გ.* კაზუსი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 1/2019, თბილისი, 2019
- რუსიაშვილი გ.* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 408
- რუსიაშვილი გ.* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 412
- რუსიაშვილი გ.* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, Gccc.ge, 03/10/2017, მუხლი 413
- რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ.* კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი, 2016
- ტურავა მ.* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მე-8 გამოცემა, თბილისი, 2010
- ჩაჩავა ს.* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, Gccc.ge, 24/12/2017, მუხლი 115
- ჩიტოშვილი თ.* დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნალი მართლმსაჯულება, გამოცემა N1, თბილისი, 2008
- ჩხაიძე ს.* ზიანის ცნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში (მოკლე ანალიზი), ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N2(41), 2014

ძლიერიშვილი ზ./ცერცვაძე
გ./რობაქიძე ი./სვანაძე გ./ცერცვაძე
ლ./ჯანაშია ლ.

სახელმწიფო სამართალი,
თბილისი, 2014

ჭყოიძე ნ., ტომარაძე გ.

ვირტუალური/კრიპტოგრაფიული
ვალუტა და მისი თავისებურებები
ვირტუალური ვალუტების
რეგულირება (bitcoin-ის მაგალითზე),
ეკონომიკა და საბანკო საქმე, ტომი 2,
N3, თბილისი, 2014

Collective work

The case studies, Pure Economic Loss in
Europe, Bussani M. & Palmer V. (eds.),
Cambridge, 2003

Banakas E. K.

Public Authority Liability for Pure
Economic Loss: A Comparative Study of
English, German and French Law,
Hellenic Review of International Law
(45), 1992

Bowal P.

Pure Economic Loss Claims, LawNow,
vol. 25, no. 5, 2001

Bussani M., Palmer V.

Pure Economic Loss: New Horizons in
Comparative Law, London, 2008

Bussani M. & Palmer V.

The notion of pure economic loss and its
setting, Pure Economic Loss in Europe,
Cambridge, 2003

Bussani M. & Palmer V.

The liability regimes of Europe – their
façades and interiors, Pure Economic Loss
in Europe, Cambridge, 2003

- Dam C. V.* European tort law, 2nd edition, Oxford, 2013
- Deliyanni-Dimitrakou C.* Pure Economic Loss under Greek Law, Hellenic Review of International Law (59), 2006
- De Mot J. P. B.* Pure Economic Loss, Encyclopedia of Law and Economics, 2nd edition, Vol. 1, Tort Law and Economics, Cheltenham/Northampton, 2009
- Elliott C. and Quinn F.* Tort Law, seventh edition, Harlow, 2009
- Gordley J.* The rule against recovery in negligence for pure economic loss: an historical accident?, Pure Economic Loss in Europe, Cambridge, 2003
- Herbert B.* Civil Liability for Pure Economic Loss Under American Tort Law, American Journal of Comparative Law Supplement (46), 1998
- Kwon Y.* Pure Economic Loss: A Korean Perspective, Journal of Korean Law, vol. 10, no. 2, 2011
- MacGrath M.* The Recovery of Pure Economic Loss in Negligence - An Emerging Dichotomy, Oxford Journal of Legal Studies (5), Oxford, 1985

- Markesinis B. S., Unberath H.* The German Law of Torts: A Comparative Treatise, 4th edition, Oxford and Portland, 2002
- Markesinis B. S., Unberath H.* The German Law of Torts: A Comparative Treatise, 4th edition, Oxford and Portland, 2002
- McBride N. J. and Bagshaw R.* Tort Law, 6th editon, Harlow, 2018
- Mousourakis G.* Roman Law and the Origins of the Civil Law Tradition, Cham, 2015
- Steininger B. C.* European Tort Law 2005, Vienna/ New York, 2005
- Van Boom W. H.* Pure Economic Loss - a Comparative Perspective, Pure Economic Loss, Vienna/New York, 2004
- Gauch P., Sweet J.* Deliktshaftung für reinen Vermögensschaden, Zürich, 1989
- Егорова М.А./Крылов В.Г./Романов А.К* Деликтные обязательства и деликтная ответственность в английском, немецком и французском праве: Учебное пособие, Москва, 2017